საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 82 (884) | სამშაბათი, 17 მაისი, 1994 წელი | ფასი 6000 კუპონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას, რომელსაც ხელმძღვანელობს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ელჩი ჯეიმს ფრენკლინ კოლინზი — დამოუკიდებელი სახელმწიფოების საქმეთა მთავარი კოორდინატორი. შეხვედრას ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა განთავსების კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი ვაშაკიძე და სხვა ოფიციალური პირები.

— მოხარული ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომეცა შესაძლებლობა საქართველოს დემოკრატიის მხარდამჭერის დემონსტრირებისა, იმ პროგრესული კურსისა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს, თქვა ჯეიმს ფრენკლინ კოლინზმა. სტუმარმა სასარგებლო უწოდა სახელმწიფოს მეთაურთან შემდგარ დისკუსიას საქართველოში შექმნილი სირთულეების თაობაზე, ძირითადად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების თემაზე. — ჩვენ არაერთხელ გამოვხატეთ ჩვენი პრინციპული მხარდაჭერა ამ საკითხში, თქვა მან. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაციის წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აფხაზეთის პრობლემას ისინი უმძიმეს პოლიტიკურ პრობლემად მიიჩნევენ. ამიტომ, ამერიკის შეერთებული შტატები, ისევე, როგორც ადრე, მომავალშიც არ დაიშურებს ძალისხმევას, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყროს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს. — გარწმუნებთ, ამერიკის შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვანი ინტერესები აქვს დემოკრატიულ საქართველოში, — განაცხადა მან.

სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ვიზიტისა და საქართველოს სხვადასხვა უწყებებში, სამინისტროებსა და ორგანიზაციებში შემდგომი შეხვედრების შედეგების მნიშვნელობა. კერძოდ, აღნიშნა, რომ პრაქტიკულად მიმდინარეობს ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ვაშინგტონში ხელმოწერილი შეთანხმებების რეალიზაცია.

— თქვენი მხრიდან ჩვენსკენ გადმოდგმულ ყოველგვარ ნაბიჯს საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, — დასძინა შეხვედრის ბოლოს სახელმწიფოს მეთაურმა.

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ჰუსამედინ ჯინდორუქს

15 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარეს ჰუსამედინ ჯინდორუქს, პირადი კაბინეტის უფროსს სენერ ოზდემირს და რიზესა და ტრაპიზონის გუბერნატორებს. ბატონი ჯინდორუქი ხელმძღვანელობს თურქეთის დელეგაციას, რომელიც მონაწილეობას იღებს თბილისში გამართული შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობის საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომის მუშაობაში.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ოდითგანვე არსებობს კეთილი და მეგობრული ურთიერთობა, რომლის კიდევ უფრო გაღრმავებას ხელს უწყობს საქართველოში და თურქეთში საელჩოების გახსნა; ითქვა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განსაკუთრებული პროგრესი შეინიშნება ქვეყნების პარლამენტების ურთიერთობაში. იმისათვის, რომ უფრო დინამიურად და მასშტაბურად ვიმოქმედოთ ჩვენი კავშირების განსამტკიცებლად, ხაზგასმით ითქვა შეხვედრაზე, აუცილებელია კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის მთელი სიძლიერით ამუშავება; განსაკუთრებით აღინიშნა ე. წ. კავკასიური დერეფნის მნიშვნელობა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს და თურქეთის, არამედ სხვა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ღერძი უნდა გახდეს.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ თურქეთის მთავრობის მიერ საქართველოსათვის გადმოცემული კრედიტი დიდი სტიმულია ჩვენი ქვეყნისათვის და იმედი გამოთქვა, რომ მთავრობის მიერ შეპირებული დანარჩენი თანხაც არ დაიგვიანებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ანდრიაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, თურქეთის ელჩი საქართველოში თევფიქ უფუქ ოქიაიუზი, საქართველოს ელჩი თურქეთში ნოდარ კომახიძე.

სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო რუმინეთის წარმომადგენელი

16 მაისს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა შავიზღვისპირეთის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილეს, რუმინეთის პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარეს ივანჩუ ნიკოლაე-ველეანუს.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო, არანაკლებ სხვა ქვეყნებისა, არის დაინტერესებული შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობით. გამოითქვა აზრი, რომ აღნიშნული თანამეგობრობა მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტია იქნება.

შეხვედრაზე მიღწეული იქნა შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და რუმინეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტების გაცვლის შესახებ.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

მიღება პარლამენტში

ვახტანგ გოგუაძემ მიიღო საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე ბატონი ჰუსამედინ ჯინდორუქი.

საუბრისას, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მხარეები შეეხნენ საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის ხელმოწერილი შეთანხმებების რეალიზაციის საკითხებს, კანონშემოქმედებით საქმიანობაში გამოცდილების ურთიერთგაზიარების, ბიზნესის პრობლემებს.

კერძოდ, აღინიშნა, რომ საქართველოს და თურქეთს შორის ხელმოწერილია ორმხრივი 21 დოკუმენტი, რომელთაგან ძალზე მნიშვნელოვანი იყო ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის, საერთაშორისო საგზაო მიმოსვლის, სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები, რომელთაც გასულ კვირას რატიფიკაცია გაუკეთა საქართველოს პარლამენტმა.

ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სულ მოკლე ხნის მანძილზე, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა და აიხსნა „რკინის ფარდა“, ყველაზე უფრო ინტენსიური თანამშრომლობა პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სფეროში სწორედ ჩვენს ისტორიულ მეზობელთან თურქეთთან დამყარდა.

— ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, — თქვა ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ, — რათა შავი ზღვის რეგიონი იქცეს მეგობრობის, ჰარმონიის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის რეგიონად. თურქეთის მიერ საქართველოსთვის 50 მილიონი დოლარი კრედიტის გამოყოფით ჩვენ საშუალება გვეძლევა განვავითაროთ ისეთი დარგები, როგორიც არის კავშირგაბმულობა, საშენ მასალათა წარმოება, გადამამუშავებელი მრეწველობა და ასე შემდეგ.

— ყოველდღე მარტო ტრაბზონში მრავალი ქართველი ჩამოდის, — აღნიშნა ბატონმა ჰუსამედინ ჯინდორუქმა, — ხალხი შეეწყო და შეეთვისა ერთმანეთს, ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები სულ უფრო ძლიერდება და ახალ ფაზაში შედის. ამიტომაც სასურველია ხელმოწერილი დოკუმენტების დროულად ამოქმედება, ტრაბზონი-ხოფა-სარფი-ბათუმი-ფოთის საავტომობილო გზის მშენებლობის დაჩქარება. სამთავრობო დონეზე შეთანხმებულია კიდევ ორი საბაჟოს გახსნა, ხოლო ბათუმის და ფოთის ნავსადგურების რეკონსტრუქციის წილობრივ დაფინანსებაში მონაწილეობას მიიღებს თურქეთის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ბიზნესი.

დასასრულ საქართველოს პარლამენტის სპიკერმა და თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარემ სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

პარლამენტის პრესცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

მაკარ ივანეს ძე ჯაში

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ჭირისუფალთ.

• • •

მ. ჯაშის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ხორცს ისხამს თანამშრომლობის კეთილშობილური იდეა

თბილისში მიმდინარეობს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მესამე სხდომა

16 მაისს თბილისში, სასტუმრო „მეტეხის“ კონფერენცდარბაზში, მუშაობა დაიწყო შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მესამე სხდომამ. სხდომის გახსნისას გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, ამ ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზექი ნაჯითარხანი, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე ჰუსამედინ ჯინდორუქი.

სხდომის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობის კეთილშობილური იდეა ხორცს ისხამს, და იმედი გამოთქვა, რომ ეს ფორუმი დამატებით იმპულსს მიანიჭებს ამ პროცესს. დღეს, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, აღარ არსებობს ჩვენს რეგიონზე ერთ დროს გამავალი გეოსტრატეგიული საზღვარი, რომელიც მსოფლიო მოწყობის ბიპოლარული სისტემის პირობებში ერთმანეთს გვაშორებდა. დღეს ერთად ვართ და ჩვენ ხელთ არის ჩვენი საერთო მომავლის ბედი. ისტორიამ უდიდესი პასუხისმგებლობა დაგვაკისრა ჩვენი შთამომავლობის წინაშე და ვალდებული ვართ ძალ-ღონე არ დავიშუროთ უკეთესი ხვალინდელი დღის უზრუნველსაყოფად. შავი ზღვის აუზის რეგიონი, აღნიშნა შემდეგ საქართველოს მეთაურმა, უნიკალურია თავისი მდებარეობით, ბუნებრივი რესურსებით, უმდიდრესი კულტურული ტრადიციებით და, რაც მთავარია, დიდი ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალით, რაც საყოველთაო მშვიდობისა და დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრების პირობებში სრულად ამოქმედდება და ღირსეულ წვლილს შეიტანს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. ამასთანავე, თქვა მან, მიმდინარე გლობალური მოვლენები, ახალი მსოფლიო წყობის ჩამოყალიბების მტკივნეული პროცესი სარკესავით აისახება შავი ზღვის აუზის რეგიონში და ჩვენ წინაშე ახალ, რთულ პრობლემებს აყენებს. დღეს აქ არსებული კონფლიქტების გამო ჯერ კიდევ შორს ვართ ჰარმონიული თანამშრომლობისაგან, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით დავძლევთ ყველა წინააღმდეგობას და შევქმნით სწრაფი განვითარების სათანადო პირობებს.

კომიტეტის ახლანდელი სხდომა ასეთი მასშტაბის პირველი საერთაშორისო პოლიტიკური ღონისძიებაა, რომელსაც საქართველო მასპინძლობს. სამწუხაროდ, თქვა შევარდნაძემ, ადრე არ შეგვეძლო მსგავსი ფორუმების ორგანიზება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვლილი რამდენიმე წელიწადი უაღრესად კრიზისული პერიოდი აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში, ფაქტობრივად, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ერთიანი სახელმწიფოს არსებობა. მაგრამ მოხერხდა და თავიდან იქნა აცილებული გამანადგურებელი სამოქალაქო ომი. დღევანდელ პირობებში მარტო საკუთარი ძალებით ამის მიღწევა წარმოუდგენელი იყო. რომ არა სათანადო საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატი, განსაკუთრებით, შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნების, ჩვენი მეზობლების მიერ გაწეული მორალურ-პოლიტიკური მხარდაჭერა, დღეს საქართველო ძმათამკვლელი ომის ქარცეცხლში იქნებოდა გახვეული. ამით, რა თქმა უნდა, საქართველოს წინაშე მდგომი პრობლემები არ ამოწურულა. ახლა ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ეკონომიკური კრიზისის დაძლევის, მწვავე სოციალური პრობლემების მოგვარების ურთულესი ამოცანები. უკვე გაჩნდა მდგომარეობის სტაბილიზაციის გარკვეული ნიშნებიც. ჩვენ ვიცით, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები მეტ-ნაკლები სიმწვავით რეგიონის სხვა ქვეყნებშიც დგას და ამ თვალსაზრისით დაწყებულ თანამშრომლობას, მის შემდგომ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ხალხების კეთილდღეობისათვის.

დღეს რეგიონული თანამშრომლობა საერთაშორისო ურთიერთობის უმთავრესი კომპონენტი გახდა. შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, უეჭველია, მნიშვნელოვანი ინსტიტუტია ჩვენი ქვეყნების საერთო ინტერესების რეალიზაციის, ხელსაყრელი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. საპარლამენტთაშორისო პარტნიორობა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ამ ინსტრუმენტის ეფექტიან გამოყენებას და ამ თვალსაზრისით თქვენი კომიტეტის წარმატებით მუშაობას ღირსეული წვლილის შეტანა შეუძლია აღნიშნულ საქმეში. როგორც საქართველოს მეთაურმა აღნიშნა, რეგიონის ქვეყნების საკანონმდებლო სისტემების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა თანამშრომლობის ყველა სფეროს ეფექტიანი განვითარების აუცილებელი წანამძღვარია. მან უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნა, თუ რა დიდი მუშაობაა გაწეული შავი ზღვის აუზის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის შექმნის დღიდან და, კერძოდ, მისი სამართლებრივი და პოლიტიკური კომიტეტის პირველი, სტამბოლის სხდომის შემდეგ. დარწმუნებული ვარ, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, რომ დღევანდელი ფორუმი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება რეგიონის ქვეყნების წინაშე მდგომი პოლიტიკური პრობლემების მოგვარების კოორდინაციისა და სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაციის გზაზე. იმედი მაქვს, თქვა მან, რომ აქ გამოთქმული მოსაზრებანი ხელს შეუწყობს ამ ახალი და დინამიკური ორგანიზაციის შემდგომი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას.

საქართველოს მეთაურმა წარმატება უსურვა ფორუმის მუშაობას და განაცხადა, რომ ახლო მომავალში თბილისში გაიმართება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, და იმედი გამოთქვა, რომ ეს და სხვა სამომავლო ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხალხთა დაახლოებას, მათ წინაშე დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით დაძლევას, საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ დაიწყო კომიტეტის პლენარული სხდომა, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

17 მაისს შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტი მუშაობას განაგრძობს.

• • •

სურათებზე (მარცხნიდან): საპარლამენტო ასამბლეის გახსნისას; სიტყვით გამოდის ედუარდ შევარდნაძე; რუსეთის ფედერაციის დელეგაცია; სხდომის დარბაზში; თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე ჰუსამედინ ჯინდორუქი.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის გამო

ჰეიდარ ალიევი დაიბადა 1923 წლის 10 მაისს ქ. ნახიჩევანში.

დაამთავრა ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1941-1944 წლებში იყო ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს განყოფილების გამგე. წლების მანძილზე მუშაობდა აზერბაიჯანის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, იყო აზერბაიჯანის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1967-1969 წლებში — აზერბაიჯანის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

1969-1982 წლებში მუშაობდა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. 1976-1982 წლებში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ხოლო 1982-1987 წლებში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

1987-1988 წლებში ეკავა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მრჩევლის პოსტი.

1990 წელს დატოვა სკკპ რიგები.

1990-1993 წლებში მუშაობდა ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ, აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1993 წლის 15 ივნისიდან აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეა. 1993 წლის 24 ივნისიდან ასრულებს აზერბაიჯანის პრეზიდენტის მოვალეობას. 1993 წლის 3 ოქტომბერს აირჩიეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ქვრივია, ჰყავს 2 შვილი და 5 შვილიშვილი.

სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება

დიდ თანაგრძნობას ვუცხადებ მიმდინარე წლის 15 მაისს თბილისში სომხურ თეატრში მომხდარი აფეთქების შედეგად დაზარალებულებს, მათ ნათესავებსა და ახლობლებს.

ეს მზაკვრული ტერორისტული აქტი, უდავოა, წარმოადგენს პროვოკაციას, რომელიც მიმართულია სომხურ-ქართული ტრადიციული მეგობრობის წინააღმდეგ. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს გავლენას ვერ მოახდენს ორი ხალხის ურთიერთობაზე.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელისუფლება ყოველ ღონეს იხმარს, რათა გამოავლინოს ბოროტმოქმედნი და საკადრისი მიუზღოს მათ, აგრეთვე გამორიცხოს შემდგომში სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ მსგავსი ძალადობის ასეთი აქტები.

სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ლევონ ტერ-პეტროსიანი.

ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით!

ედუარდ შევარდნაძის 16 მაისის რადიოინტერვიუ

ვიდრე ტრადიციული რადიოინტერვიუ დაიწყებოდა, რომელიც დაგვიანებით გავიდა ეთერში, ჟურნალისტმა ნატო ონიანმა განმარტა ეს დაგვიანება. დღეს დილით სასტუმრო „მეტეხში“ გაიხსნა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომისიის მესამე სხდომა, რომელზეც მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა. ამის გამო მოხდა, რომ ინტერვიუმ დაიგვიანა.

— გასული კვირა უაღრესად დაძაბული იყო ჩვენი ქვეყნისთვის. კვირის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ალბათ, აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების ხელშეკრულების ხელმოწერა. რა განასხვავებს 14 მაისის ხელშეკრულებას აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით დადებული სხვა ხელშეკრულებებისაგან?

— დღევანდელი ინტერვიუს დაგვიანების მიზეზია თბილისში გამართული დიდი მასშტაბის ღონისძიება, რომელიც, ბუნებრივია, მეტ ყურადღებას და ჩვენს აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს. ვფიქრობ, მომავალში უფრო დიდი მასშტაბისა და მნიშვნელობის საერთაშორისო ღონისძიებები ხშირად გაიმართება, რა თქმა უნდა, სტაბილურობისა და სიმშვიდის პირობებში.

რაც შეეხება იმ ორ დოკუმენტს, რომლებსაც ჩემი თანხმობით ხელი მოაწერეს მოსკოვში, მათ სხვა დოკუმენტებისაგან განასხვავებს შემდეგი: პირველი — განსხვავდება იმით, რომ სხვა დროსა და პირობებშია მიღებული. სატელევიზიო ინტერვიუში მე უკვე ჩამოვთვალე, რა ცვლილებები მოხდა საქართველოსთან მიმართებაში, და რა ნაბიჯები გადავდგით აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ. მეორე — განსხვავდება იმით, რომ საფუძველი ეყრება რეალურ გადაწყვეტილებებს სამშვიდობო ძალების, ვიმეორებ, რეალურად შეყვანას კონფლიქტის ზონაში. ესე იგი, საფუძველს ვუყრით ლტოლვილების დაბრუნების საქმეს და ამ პროცესის დაჩქარებას. რაც უფრო მეტი იქნება ქვეყნის ყველა ძალების ურთიერთგაგება და თანამშრომლობა, მე, აგრეთვე, მხედველობაში მყავს ლტოლვილთა მასები თავიანთი სხვადასხვა განწყობილებით, მით უფრო მოვიახლოვებთ იმ სანატრელ დღეს, როცა დაიწყება დაბრუნების პროცესი და, ვფიქრობ, შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ეს დაბრუნების პროცესი არც ისე ხანგრძლივი იქნება. აი, ამას ჩაეყარა საფუძველი და ამის წინა პირობები იქმნება. თუმცა ეს არ არის საბოლოო გადაწყვეტილებები. ესეც იმის ერთ-ერთი ფაქტორია, რომ გაეროს და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებმა მიიღონ ესოდენ აუცილებელი გადაწყვეტილებები.

ასეთი გეგმა, ესე იგი, ოპერაციის განხორციელების გეგმა, ახლა მუშავდება, სამუშაო ჯგუფები ფუნქციონირებენ, ჩვენი წარმომადგენლები დამატებით ჩაერთვებიან, გენერალი ჩიქოვანი მოსკოვშია და იგი ასეთი ოპერაციის დამუშავების ერთ-ერთი მონაწილეა. უნდა გითხრათ, რომ დიდ და ძალიან სასარგებლო ინიციატივას იჩენს რუსეთის ხელმძღვანელობა. თუ რუსეთის პოზიტიური როლი ასე გაგრძელდა, და მჯერა, რომ ასე გაგრძელდება, ჩვენ საკმაოდ სწრაფად შევძლებთ აღვადგინოთ სამართლიანობა და შევქმნათ აფხაზეთში ქართველებისა და აფხაზების, სხვა ხალხების ერთად ცხოვრების პირობები.

ამ მოსაზრებებს უახლოეს დროში განიხილავენ უშიშროების საბჭო ნიუ-იორკში და თანამეგობრობის ქვეყნების კოლექტიური უშიშროების საბჭო. ვფიქრობთ, რომ მხარს დაგვიჭერს როგორც ერთი, ისე მეორე საერთაშორისო ორგანიზაცია.

— ბოლო დროს პარლამენტში მნიშვნელოვნად გამოიკვეთა კონფრონტაცია უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, პარლამენტის თავმჯდომარესა და პარლამენტართა გარკვეულ ნაწილს შორის. ამის გამო კიდევ უფრო ხომ არ მწიფდება ახალი არჩევნების იდეა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ახალი არჩევნების შესახებ თავის მოთხოვნას დიდი ხანია ღიად აყენებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. გავრცელდა ხმები, რომ მოქალაქეთა კავშირიც დაინტერესებულია რიგგარეშე არჩევნების გამართვით...

— ხანდახან კონფრონტაცია, ალბათ აუცილებელია, მაშინ, როცა პოზიციები შეუთავსებელია, და სიმართლე გითხრათ, ასეთ აუცილებლობას არც მე გავურბივარ.

პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა უნდა დაიცვას თავისი პოზიცია, და თუ საჭიროა კონფრონტაციაზე წასვლა, უნდა წავიდეს კიდეც. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს თანამშრომლობის ჩვენს საერთო სურვილს. ახალი არჩევნების დაჩქარების აუცილებლობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მოხერხდება კონსტრუქციული თანამშრომლობა ქვეყნისათვის საარსებო პრობლემის განხილვისას პარლამენტში. შევძლებთ თუ არა დავძლიოთ ეს ორგანული შეუთავსებლობა, უპატივცემულობის, უკულტურობის, ელემენტარული ეთიკური ნორმების დარღვევის ის ატმოსფერო, რომლითაც ასე გაითქვა სახელი ჩვენი პარლამენტის გარკვეულმა ნაწილმა.

რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირის დამოკიდებულებას არჩევნების ვადამდე გამართვის საკითხისადმი, უნდა გითხრათ, რომ ჩემი თანაპარტიელი კოლეგები მოითხოვენ მხარი დავუჭირო არჩევნების ვადამდე გამართვის იდეას. მოქალაქეთა კავშირს ეს ხელს აძლევს. მისი გავლენა თბილისშიც და რაიონებშიც დიდია და, ვფიქრობ, რომ თუ ვილაპარაკებთ წმინდა პარტიული და არა მარტო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება ეს საფუძვლიანიც იყოს. ჯერჯერობით საკითხი ღიად რჩება, საბოლოო აზრი არ გამომითქვამს. ჩემი პოზიციის განსაზღვრა ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოხერხდება კონსტრუქციული სულისკვეთების დამკვიდრება ახლანდელ პარლამენტში. თუ ეს მოხერხდა, მაშინ სასურველია პარლამენტმა თავისი მისია ბოლომდე შეასრულოს.

— გუშინ თბილისის სომხურ თეატრში მოხდა აფეთქება. რა შეფასებას მისცემდით ამ აქტს? აქვე მინდა გაგახსენოთ თქვენი სიტყვები გია გულუას დაღუპვის შემდეგ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებთან შეხვედრაზე, რომ საფრანგეთში ამას წინათ მიიღეს გადაწყვეტილება — შეიზღუდოს ამიერკავკასიაში მოქალაქეების ჩამოსვლა...

— კიდევ ერთხელ მინდა გამოვთქვა ძალიან დიდი გულისტკივილი და ძალიან დიდი შეშფოთება ამ ბარბაროსული ტერორისტული აქტის გამო. თბილისის სომხური თეატრი, გარკვეული აზრით, ორი ხალხის საუკუნოვანი მეგობრობისა და ძმობის სიმბოლოა, სიმბოლოა იმის, თუ რა დიდ პატივს სცემს ქართველი ხალხი სომხურ კულტურას და იმის სიმბოლოც არის, რომ სომეხი ხალხი, სომეხი მოქალაქეები საქართველოში ყოველთვის ცხოვრობდნენ როგორც თავიანთ ძმებთან, თანამოქალაქეებთან. სომხური თეატრი კი, რომელსაც 125 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, მათთვისაც და ჩვენთვისაც ჩვენი საუკეთესო მეგობრობისა და ტრადიციების ერთ-ერთი გამომხატველია. ერთხელ კიდევ გამოვხატავ ჩემს გულისწყრომასა და შეშფოთებას ამ აქტთან დაკავშირებით.

მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით თეატრთან გაიმართა საპროტესტო მიტინგი. ამ აქტის ჩადენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მე მივედი თეატრში. მიტინგზე კარგად გამოიხატა თბილისელთა და საქართველოს ყველა მოქალაქის დამოკიდებულება ამ ბარბაროსული აქტისადმი. ახლა ამბობენ, ეს სომხების წინააღმდეგ არისო მიმართული, იმასაც კი ამბობენ, აზერბაიჯანელების წინააღმდეგ არისო მიმართული, ვიღაცას რაღაცის პროვოცირება უნდა ამასთან დაკავშირებით.

მე ასე ვიტყოდი: ეს, პირველ რიგში, საქართველოს წინააღმდეგ მომხდარი ტერორისტული და ბარბაროსული აქტია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ დამნაშავეთა პოვნა სახელმწიფოებრივი ამოცანაა და სწორედ ასეთი ამოცანა დავუსახე გუშინ ოფიციალურად სამართალდამცავ ორგანოებს. ტერორისტული აქტების წინააღმდეგ ბრძოლა კი დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა და ჩვენი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების, უწინარესად, უშიშროების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პოლიციისა და სხვების სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა. ჩემი დავალებები მათ მიღებული აქვთ და უკვე აქტიურად მუშაობენ.

რაც შეეხება შეზღუდვებს, რომლებსაც ხანდახან ცალკეული ქვეყნები მიმართავენ, რომ შეიზღუდოს მოქალაქეთა ჩამოსვლა ამიერკავკასიაში, ჩემი აზრით, ამ ცალკეული ფაქტების მიუხედავად, ამჟამად თბილისსა და საქართველოში არსებული ვითარება ამის საფუძველს არ

(დასასრული მე-8 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ

1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილ ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ განცხადებაში მხარეებმა ვალდებულება იკისრეს ზუსტად დაიცვან აღნიშნული თარიღიდან ცეცხლის ოფიციალური შეწყვეტა, აგრეთვე კვლავ დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება უარი თქვან ძალის გამოყენებასა თუ ერთმანეთის წინააღმდეგ მისი გამოყენების დამუქრებაზე, რაც მათ იკისრეს 1994 წლის 13 იანვრის კომუნიკეთი. ეს ვალდებულება ძალაში რჩება. ეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ ოფიციალურად განამტკიცებს ამ ვალდებულებას.

1. მხარეები განუხრელად დაიცავენ ცეცხლის შეწყვეტას ხმელეთზე, ზღვასა და საჰაერო სივრცეში და თავს შეიკავებენ ერთმანეთის წინააღმდეგ ყველა სამხედრო მოქმედებისაგან.

2. მხარეთა შეიარაღებული ძალების დაშორიშორება მოხდება შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

1) B და D ხაზებს შორის რაიონი დართულ რუკაზე იქნება უსაფრთხოების ზონა. ამ ზონაში არ უნდა იყოს შეიარაღებული ძალები და მძიმე საბრძოლო ტექნიკა. A და B ხაზებსა და D და E ხაზებს შორის ტერიტორია იქნება შეზღუდული შეიარაღების ზონა. მასში არ უნდა იყოს მძიმე საბრძოლო ტექნიკა. უსაფრთხოების ზონასა და შეიარაღების შეზღუდვის ზონაში მოქმედებენ ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფალნი. ამ მიზნით აქ გამოყენებულ პოლიციას (მილიციას) შეიძლება ჰქონდეს პირადი იარაღი.

მძიმე საბრძოლო ტექნიკაში შედის:

— ყველა საარტილერიო ქვემეხი და 80 მილიმეტრზე მეტი კალიბრის ნაღმსატყორცნები.

— ყველა ტანკი;

— ყველა ჯავშანტრანსპორტიორი.

2) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები და ამ შეთანხმების ოქმის შესაბამისად დამტკიცებული სამხედრო მეთვალყურენი განლაგდებიან უსაფრთხოების ზონაში, რათა თვალი გაადევნონ ამ შეთანხმების დაცვას.

3) უსაფრთხოების ზონიდან და შეიარაღების შეზღუდვის ზონიდან გამოყვანილი მძიმე საბრძოლო ტექნიკა მოთავსდება მონიშნულ რაიონებში, რომლებსაც განსაზღვრავენ მხარეები და დაექვემდებარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებელთა მეთვალყურეობას.

4) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა კონტროლით, მხარეთა წარმომადგენლობის მონაწილეობით კოდორის ხეობიდან მოხდება საქართველოს რესპუბლიკის ჯარების გადაყვანა მათი დისლოკაციის ადგილებში აფხაზეთის ფარგლებს გარეთ. იმავდროულად კოდორის ხეობაში განხორციელდება სამშვიდობო ძალებისა და საერთაშორისო მეთვალყურეთა რეგულარული პატრულირება.

5) დაიშლება და გაყვანილ იქნება ყველა მოხალისე ფორმირება, რომლებიც შედგება აფხაზეთის ფარგლებს გარედან შემოსული პირებისაგან.

6) სამშვიდობო ძალების ნაწილებისა და ქვეგანაყოფების, აგრეთვე საერთაშორისო მეთვალყურეთა გადაადგილება უსაფრთხოების ზონის გარეთ შესაბამის ტერიტორიებზე შეთანხმებულ იქნება მხარეებთან.

7) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებლების მეთვალყურეობის ქვეშ იქნება აგრეთვე სანაპირო წყლები და საჰაერო სივრცე A და D პუნქტებს შორის.

8) სამშვიდობო ძალებზე თავდასხმის ან უშუალო სამხედრო მუქარის შემთხვევაში ისინი იღებენ უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაბამის ზომებს.

3. პირველ ეტაპზე სამშვიდობო ძალების განლაგების გეგმასა და დაშორიშორების ზუსტი ხაზების აღნიშვნას შეიმუშავებს სამშვიდობო ძალების სარდლობა მხარეთა მონაწილეობით. ყველაფერი ეს უნდა გადაწყდეს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნების განგრძობის, ეტაპობრივი სრულმასშტაბიანი მოწესრიგების და შეთანხმების შესაბამისად სამუშაო ჯგუფში, რომელიც მუშაობას დაიწყებს ამ მიზნით მოსკოვში აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან ხუთი დღის განმავლობაში. ისინი ამ ამოცანას შეასრულებენ ხუთი დღის განმავლობაში. დაშორიშორება დაიწყება ასევე მომდევნო ხუთი დღის შემდეგ, როცა სამუშაო ჯგუფი შეასრულებს თავის ამოცანებს. დაშორიშორების პროცესი დამთავრდება მისი დაწყების მომენტიდან არაუგვიანეს ათი დღის შემდეგ.

4. უსაფრთხოების ზონისა და შეიარაღების შეზღუდვის ზონის რუკას შეიცავს დანართი A.

ოქმი. ოქმი, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებს ეხება, აცხადებს შემდეგს:

მხარეები თანხმდებიან იმას, რომ:

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების ფუნქციები ის იქნება, რომ მაქსიმალური ძალისხმევა მოახმარონ ცეცხლის შეწყვეტის დაცვასა და მისი განუხრელი შესრულების უზრუნველყოფას. გარდა ამისა, მათმა ყოფნამ ხელი უნდა შეუწყოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა უსაფრთხო დაბრუნებას, უწინარეს ყოვლისა, გალის რაიონში. მეთვალყურეობას გაუწევენ შეთანხმებისა და დართული ოქმის განხორციელებას უსაფრთხოების და შეზღუდული შეიარაღების ზონებში. თავისი მისიის შესრულების დროს ისინი დაიცავენ ადგილობრივ კანონებს და დადგენილებებს და არ შეუქმნიან დაბრკოლებებს ადგილობრივი სამოქალაქო ადმინისტრაციის საქმიანობას. ისინი უსაფრთხოებისა და შეზღუდული შეიარაღების ზონებში ისარგებლებენ თავისუფალი გადაადგილების, კავშირებისა და სხვა შეღავათების გამოყენების უფლებით, რომლებიც საჭიროა მათი მისიის შესასრულებლად.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები იმოქმედებენ დროებითი გაერთიანებული სარდლობისა და სამშვიდობო ძალების სარდლის მეთაურობით.

5. სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების პროცესი გაგრძელდება.

6. მხარეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სთხოვენ გააფართოოს გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მანდატი, რათა იგი ითვალისწინებდეს აღნიშნულ მოქმედებაში მათ მონაწილეობას.

7. მხარეები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1994 წლის 15 აპრილის განცხადების საფუძველზე სთხოვენ საბჭოს მიიღოს გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ.



საქართველოს მხარის სახელით

ჯ. იოსელიანი.

აფხაზთა მხარის სახელით

ს. ჯინჯოლია.

მოსკოვი, 1994 წლის 14 მაისი.

თბილისში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

15 მაისს, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე თბილისის პ. ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის შენობაში ბოროტმოქმედთა მიერ მოხდენილი აფეთქება, რის შედეგადაც დაიჭრა 16 (მათ შორის 2 მძიმედ) ადამიანი და არის მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, შეფასდეს, როგორც პროვოკაციული, სახელმწიფოს მტრების მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტი.

1. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ჯ. ბაბილაშვილს, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარეს ი. გიორგაძეს და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შ. კვირაიას უზრუნველყონ აღნიშნული ტერორისტული აქტის ოპერატიული გამოძიება და დამნაშავეთა გამოვლენა. ძიების მიმდინარეობის შესახებ სისტემატურად მომახსენონ პირადად მე.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, ქალაქ თბილისის მერიამ აფეთქებით გამოწვეული მატერიალური ზარალის ოპერატიულად შესასწავლად და აღდგენითი სამუშაოების განსახორციელებლად შექმნას სპეციალური კომისია და მიიღოს გადაუდებელი ზომები თეატრისათვის სხვა აუცილებელი დახმარების აღმოსაჩენად.

ე. შევარდნაძე.

დაშავდნენ უდანაშაულონი...

თბილისის სახელმწიფო სომხურ დრამატულ თეატრში აფეთქების გამო დაშავდა 16 კაცი. მათგან უმრავლესობა ბავშვებია. ისინი ჰოსპიტალიზებული არიან. ერთი მათგანისთვის იძულებული გახდნენ ფეხი მოეკვეთათ. მძიმე მდგომარეობაშია თეატრის დირექტორის მოადგილე.

აფეთქება მოხდა დარბაზის ბოლო რიგებში. მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მოუვიდა შენობას.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მომხდარის მიზეზებს იძიებს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის საგამოძიებო სამმართველო. მუშავდება რამდენიმე ვერსია.

საზოგადოებრიობის მიტინგი

თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური თეატრის აფეთქების ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით, 15 მაისს საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა თეატრის შენობასთან მოაწყო საპროტესტო მიტინგი.

მიტინგის ინიციატორებმა და მონაწილეებმა — სომეხი და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა — მკაცრად დაგმეს ორ ერს შორის საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული მეგობრული ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართული ეს ბარბაროსული აქტი. ეროვნული შუღლის პროვოცირების ყოველ მცდელობას წინ უნდა აღუდგეს საქართველოს ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა. სომეხმა და ქართველმა ხალხებმა უნდა ძლიონ ყოველგვარ გამოცდას და უჩვენონ მსოფლიოს, რომ ერთი უფლის რწმენით გაერთიანებული ორი ერი კვლავაც შეინარჩუნებს ამ ერთობას — ასეთი იყო მიტინგის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი.

საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებებისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის

განცხადება

სულისშემძვრელი დანაშაული მოხდა თბილისში.

ცხოველური სიძულვილით დაბრმავებულმა არაადამიანებმა უგუნური მცდელობით — უფრო მეტად გაართულონ სიტუაცია საქართველოში, მთელ კავკასიის რეგიონში, განიზრახეს ბავშვების სიკვდილი.

ტერორისტული აქტი განხორციელდა თბილისის სომხურ დრამატულ თეატრში. დღის სპექტაკლის დროს აქ მოხდა ძლიერი აფეთქება.

ღმერთმა არ დაუშვა უდანაშაულო ბავშვების დაღუპვა, მაგრამ ისინი მძიმედ დაჭრილები. დარწმუნებული ვართ, რომ ექიმები ყველაფერს იღონებენ დაშავებულთა გადასარჩენად.

აღშფოთებამ და ტკივილმა, რომლებითაც აივსება ყველა ნამდვილი ადამიანის გული, მიუხედავად ეროვნებისა, არ უნდა დაგვავიწყოს მთავარ ჭეშმარიტებას — ვისი ჩადენილიც უნდა იყოს ეს მხეცური დანაშაული, იგი მიმართულია ყველა ჩვენგანის, საქართველოს ყველა მცხოვრების, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

გამოვხატავთ რა თანაგრძნობას დაზარალებულთა ახლობლებისა და ნათესავებისადმი, ჩვენი რესპუბლიკის მთელი მოაზროვნე საზოგადოებრიობის სახელით სამართალდამცავი ორგანოებისა და უშიშროების სამსახურისაგან მოვითხოვთ გააკეთონ ყველაფერი, რათა დამნაშავეები უმოკლეს დროში იქნენ გამოვლენილი და საკადრისად დასჯილნი.

დაე, გაგვაერთიანოს ჩვენმა საერთო დარდმა და აღშფოთებამ, ერთად გადავუკეტოთ გზა ტერორიზმს, რათა მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

სანდრო კავსაძე.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირში

ვანდალიზმის აქტის — თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხურ თეატრში ბომბის აფეთქების გამო გულისწყრომა გამოთქვეს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის სხდომის მონაწილეებმა, რომელიც 16 მაისს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში. სხდომა გახსნა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ რევაზ ამაშუკელმა. პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, პარლამენტის წევრებმა გიორგი ყორყოლიანმა, მანანა გიგინეიშვილმა, ზურაბ ჟვანიამ, მხატვარმა თეიმურაზ გოცაძემ და სხვებმა ილაპარაკეს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის, ზოგიერთი დეპუტატის დემაგოგიური განცხადებების შესახებ, რომლებიც გამოდიან რა ხალხის სახელით, სინამდვილეში მხოლოდ საკუთარ პოზიციას გამოხატავენ. ისინი შეეხნენ მძიმე ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც ყოველდღიურად ღრმავდება კუპონის კურსის დაქვეითებისა და საბოტაჟის გამო.

თითქმის ყველა გამომსვლელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში რაც შეიძლება სწრაფად გადაიჭრას ლტოლვილთა პრობლემა, რომელთა ასეთ ვითარებას იყენებს ზოგიერთი დესტრუქციული ძალა. შეკრებილებმა მოითხოვეს ამ ძალების წინააღმდეგ განხორციელდეს შეურიგებელი და მკაცრი პოლიტიკა. აღინიშნა, აგრეთვე, რომ ნეგატიურ გავლენას ახდენს ზოგიერთის გამოსვლა პრესაში და ტელევიზიით, რომლებიც „სიტყვის თავისუფლებად" მიაჩნიათ ქვეყნის საყრდენთა ნორმებისაგან გადახვევა, არ ერიდებიან ცილისწამებასა და შეურაცხყოფას.

შეკრებილებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი კურსს, რომელსაც სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ახორციელებს, და მიიღეს განცხადება.

კონფლიქტის მოწესრიგების რეალური საფუძველი

14 მაისს მოსკოვში საქართველოსა და აფხაზთა მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ. ამ ფაქტმა, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო, საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით დღეს კომენტარს უკეთებენ მოლაპარაკებაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი **ჯაბა იოსელიანი** და საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე **სანდრო კავსაძე.**

ჯ. იოსელიანი: გადაწყვეტილება მიღებულია. ახლა მოქმედებაა საჭირო. ყველაფერი გაირკვევა მოკლე ხანში. ეს საკმაოდ რთული პროცესი იქნება. ამ შეთანხმებაზე ხელის მოწერა არც რისკი იყო და არც რაიმეს დაკარგვით გვემუქრება. მას ახლა განხორციელება უნდა. ეს კი ჩვენზეა გამოკიდებული. ხუთი დღის განმავლობაში სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით შეიკრიბება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დააზუსტებს სამშვიდობო ძალებისა და სამხედრო მეთვალყურეთა განლაგებისა და მოქმედების ზუსტ საზღვრებს. ამის შემდეგ, უკვე ათ დღეში დამთავრდება სამშვიდობო ძალების განლაგება, რაც არსებითად შეუწყობს ხელს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნებას საკუთარ კერაზე.

ს. კავსაძე: ასეთი სახის შეთანხმება აუცილებელია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კონფლიქტის მოწესრიგების სამშვიდობო პროცესი, ვინაიდან მსოფლიოში დღემდე არსებული ყველა შეიარაღებული დაპირისპირების მოწესრიგება ხდებოდა მხოლოდ რეალურად მიღწეული ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შემდეგ. გაეროს უშიშროების საბჭოსათვის ეს საბუთი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საფუძველს კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების შესახებ რეზოლუციის მისაღებად. ამასთან, იგი საბოლოოდ არ წყვეტს სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების საკითხს. მასში მოცემულია დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორების, სამშვიდობო ძალებისა და მეთვალყურეების განლაგების და ამ გზით მშვიდობის შენარჩუნების ძირითადი პრინციპები.

დოკუმენტის მე-3 მუხლში მითითებულია, რომ მისი ხელმოწერის შემდეგ შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დააზუსტებს შეიარაღებულ ძალთა დისლოკაციის, ლტოლვილთა დაბრუნებისა და სხვა საკითხებს. საბუთის ყველა დანარჩენი მუხლი მიუთითებს იმაზე, რომ მიღწეული შეთანხმების შემდეგ უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშვიდობო ოპერაციას კონფლიქტის ზონაში.

რუსეთის ფედერაციის მთავრობის განცხადება

რუსეთის ფედერაციის მთავრობა კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კონფლიქტის მონაწილე ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ.

გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი მყარი მშვიდობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ პოლიტიკური მოწესრიგების ეტაპობრივი პროცესი უნდა გაგრძელდეს. შეთანხმების შესაბამისად, შექმნილმა უსაფრთხოების ზონამ, რომელშიც გათვალისწინებულია განლაგდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სამშვიდობო ძალები, ხელი უნდა შეუწყოს საომარი მოქმედების განახლების თავიდან აცილებას და ათასობით დევნილს გაუხსნას გზა თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დასაბრუნებლად, უმთავრესად, გალის რაიონში.

რუსეთის ფედერაცია გამოთქვამს რწმენას, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეები განუხრელად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. მორიგებათა დარღვევა, რაც წარსულში ხდებოდა, აღარ უნდა განმეორდეს. რუსეთი, თავის მხრივ, აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას და მზად არის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ერთად ხელი შეუწყოს მიღწეულ ფართომასშტაბიან მოწესრიგებას, მიაღწიოს იმას, რომ ახლანდელ ეტაპს მოჰყვეს ახალი ძალისხმევა რეგიონში მშვიდობის აღდგენისა და ურთიერთგაგებისათვის.

1994 წლის 14 მაისი.

სახელმწიფოს მეთაურს მოუწოდა მთელი პასუხისმგებლობა თვითონ იკისროს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ ბი-ეს-პრესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, როცა განმარტა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, განაცხადა, რომ შემოთავაზებულ დოკუმენტს ვერ უწოდებს იდეალურს და არ არის დარწმუნებული, რომ ამას სასურველი შედეგი მოჰყვება. მაგრამ ამავე დროს, თქვა აბაშიძემ, უნდა გავითვალისწინოთ რეალური ვითარება და ის, არის თუ არა უკეთესი გამოსავალი. თუ დღეს უარს ვიტყვით შემოთავაზებულ ვარიანტზე, შეიძლება შედეგები გაცილებით უარესი იყოს. ამასთან დაკავშირებით, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ გაიხსენა ის, როცა კრიტიკულ მომენტში, ჩვენ უარი ვთქვით რუსეთის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის წინადადებაზე — აფხაზეთში შემოეყვანა დივიზია, როგორც მხარეთა დამაშორიშორებელი საშუალება.

განმარტა რა შევარდნაძის განცხადება სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტის შესაძლო გაუქმების შესახებ, რომელიც მან გააკეთა კონფლიქტის მოწესრიგების საკითხზე პარლამენტთან აზრთა პრინციპულ განსხვავებასთან დაკავშირებით, ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ედუარდ შევარდნაძე არ უნდა გადადგეს. მან უნდა გამონახოს ძალები და პასუხისმგებლობა თავად იკისროს. თუ ყოველივე ამიდან არ გამოვიტანთ სწორ დასკვნებს — კატასტროფა გველის, — თქვა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნის ინფორმაცია

13 მაისს გაიმართა პარლამენტის დახურული სხდომა, რომელზეც განიხილებოდა მოსკოვის ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე შემუშავებული აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შეთანხმების პროექტი. როგორც ნათქვამია, სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნის მიერ გავრცელებულ ცნობაში, დილის სხდომაზე, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე არ ესწრებოდა, პარლამენტარებმა გამოთქვეს მრავალი კრიტიკული მოსაზრება ამ პროექტის გამო და დააყენეს მოლაპარაკების პროცესისათვის პარლამენტის პასუხისმგებლობის საკითხი. პარლამენტარები შეთანხმდნენ, აღნიშნულ საკითხზე მიეღოთ სარეკომენდაციო ხასიათის საოქმო გადაწყვეტილება.

გამოცხადებული შესვენების შემდეგ კენჭი უყარეს საოქმო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ პარლამენტის თანხმობის გარეშე მოლაპარაკების მონაწილე ქართულმა დელეგაციამ ხელი არ მოაწეროს არც ერთ დოკუმენტს. სახელობითი კენჭისყრის შედეგად გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა 88 პარლამენტარმა. მოგვიანებით მათ შეუერთდა კიდევ 30 პარლამენტარი.

პრესსამდივნის ცნობის თანახმად, ნაშუადღევს განსახილველ საკითხზე თავისი მოსაზრებანი გამოთქვა ედუარდ შევარდნაძემ. მისი აზრით, ძნელია დაეთანხმო შეთანხმების პროექტის ზოგიერთ დებულებას, მაგრამ სხვა გზა აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური მოგვარების პროცესისათვის არ არსებობს. სახელმწიფოს მეთაურს არაეთიკურად მიაჩნია ამ საკითხზე საოქმო გადაწყვეტილების მიღებისათვის კენჭისყრა. დოკუმენტზე ხელმოწერის შეჩერება მას მისდამი უნდობლობის გარკვეულ ფორმად მიაჩნია. შევარდნაძის აზრით, მიუხედავად დიდი ნაკლოვანებებისა, დოკუმენტი იძლევა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის შანსს. სწორედ ამიტომ, მისი და პარლამენტის წინააღმდეგობანი პრინციპული ხასიათისაა. როცა პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურისა და თავად პარლამენტის პოზიციებში გამოიკვეთა ურთიერთგამომრიცხავი მიდგომები, ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტს შესთავაზა მხარი დაუჭირონ იმ პარლამენტარებს, რომლებიც პარლამენტისათვის ძალაუფლების გადაცემას მოითხოვენ.

მიიღეს გადაწყვეტილება, პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 14 მაისს გაგრძელებულიყო.

კვორუმის უქონლობის გამო...

14 მაისს გამართულ საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე გაგრძელდა წინა დღის დახურულ სხდომაზე დაწყებული მწვავე დებატები, რომლებიც ეხებოდა მოსკოვში ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე შემუშავებული შეთანხმების პროექტს — აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შესახებ. ცხარე კამათის შედეგად მიიღეს წინადადება კენჭი ეყარათ გადაწყვეტილების ორი ვარიანტისათვის. პარლამენტის უმრავლესობა ითხოვდა საქართველოს დელეგაციისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევას, რომლითაც იგი აღჭურვა სახელმწიფოს მეთაურმა მოსკოვში მოლაპარაკების საწარმოებლად. პარლამენტის ოპოზიცია კი დაბეჯითებით ითხოვდა საკითხი ასე დაყენებულიყო: მოეწერათ თუ არა ხელი მოცემული შეთანხმების პროექტისათვის.

მიუხედავად ორჯერ გამართული რეგისტრაციისა, კენჭისყრის დროს სხდომათა დარბაზში არ აღმოჩნდა კვორუმი. ამგვარად, საქართველოს პარლამენტის ერთადერთ ნების გამომხატველად დარჩა წინა დღეს მიღებული საოქმო გადაწყვეტილება, რომელსაც იურიდიული ძალა არა აქვს.

ჰუსამედინ ჯინდორუქი თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია

— **ჩვენ** მოხარული ვართ მივესალმოთ საქართველოს დიდ მეგობარს, სამართალმცოდნე მეცნიერს, კაცს, რომელიც ჭეშმარიტად ზრუნავს უმაღლესი სკოლისათვის, ძვირფას ჰუსამედინ ჯინდორუქს, — თქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის გახსნისას უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. — მე მხვდა პატივი ვაცნობო საპატიო სტუმარს, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მას დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, საქართველოს რესპუბლიკის ელჩი თურქეთში ნოდარ კომახიძე.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ჰუსამედინ ჯინდორუქმა სამახსოვრო მედალი გადასცა უნივერსიტეტს.

ბუტროს ბუტროს გალის მიმართვა ოჯახის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

15 მაისი 1994 წელი

15 მაისს ჩვენ პირველად აღვნიშნავთ ოჯახის საერთაშორისო დღეს. ამასთან დაკავშირებით, მივესალმები ოჯახებს მთელს მსოფლიოში და ვიყენებ ამ შესაძლებლობას, აღვნიშნო მათი როლი კაცობრიობის განვითარების პროცესში.

მთელს მსოფლიოში უამრავ ინიციატივას იჩენენ ოჯახების დასახმარებლად. განსაცვიფრებელია უზარმაზარი მხარდაჭერა, რომელიც მოდის მთავრობების, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფესიული და საზოგადოებრივი ჯგუფების, აკადემიური საზოგადოებისა და თავად ოჯახებისაგან.

რაც შეეხება გაეროს წევრ სახელმწიფოებს, 150-მდე ქვეყანა მუშაობს ეროვნულ სამოქმედო გეგმებზე ამ წლის აღსანიშნავად, მიმდინარეობს ეროვნული საკანონმდებლო და პოლიტიკური პროგრამების განვითარება, დაიწყო და დასრულდა დიდი კვლევითი სამუშაოები, ხორციელდება მრავალი სხვა პროექტი.

გაეროს სისტემის ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობამ დიდი წვლილი შეიტანა ოჯახების დასახმარებლად წამოწყებული საერთაშორისო კოორდინირებული მოქმედების სრული მობილიზაციისათვის. ცალკეულმა პირებმა, ყველა ტიპის საზოგადოებებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, შექმნეს ოჯახების მხარდამჭერი მსოფლიო მასშტაბის მოძრაობა.

აღნიშნულ მიღწევათაგან არც ერთი არ შესრულდებოდა, რომ არა ჩვენი მრავალრიცხოვანი პარტნიორების დახმარება ოჯახის საერთაშორისო წლის აღსანიშნავად. ამ ღირსშესანიშნავ დღეს, მინდა აღვნიშნო მათი ფასდაუდებელი წვლილი და თავდადება, როცა დღეს ვფიქრობთ იმ მილიონებზე, რომლებიც ცხოვრობენ მსოფლიოში, არ შეიძლება არ ვაღიაროთ და პატივი არ ვცეთ ყველა იმ ადამიანს, ვინც თავი გამოიდო გაჭირვებული ოჯახებისათვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ვადიდებთ რა ოჯახების დამსახურებას, არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ, რომ ბევრი მათგანი თავად იყო უსამართლობის მსხვერპლი და იტანჯებოდა. ამგვარად, ეს დღე აგრეთვე მოგვიწოდებს ცვლილებებისაკენ ოჯახების ცხოვრებაში.

განვითარების პროცესში ოჯახების ცენტრალური როლი იქნება ერთ-ერთი მთავარი საკითხი მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე მოსახლეობისა და განვითარების შესახებ, აგრეთვე, სოციალური პრობლემებისადმი მიძღვნილ მსოფლიო სამიტზე და ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე. ოჯახის საერთაშორისო წლის ჭრილში განხორციელებულ ამ მნიშვნელოვან მოვლენებს შეუძლიათ ფასდაუდებელი სამოქმედო საფუძველი მოგვცენ შემდეგი ათასწლეულისათვის.

ოჯახის საერთაშორისო წლის ჩვენ ვუბრუნდებით კაცობრიობის ძირითად ელემენტებს, რადგან, მხოლოდ მათზე დაყრდნობით არის შესაძლებელი მდგრადი სამოქმედო გეგმის [illegible] და სოციალური სამართლიანობის მისაღწევად. პროცესი მხოლოდ იწყება და იგი არ დასრულდება არც 1994 წლის ბოლოს და არც უახლოეს წლებში.

ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ოჯახებთან ახალი სოციალური გეგმის შემუშავებისათვის, [illegible] შევძლოთ, გადავჭრათ [illegible] საკითხებთან [illegible] მოსულ პრობლემებს [illegible] ობის საქმიანობის ყველა [illegible] რომში. უნდა გავაგრძელოთ [illegible] ნი ძალისხმევა, რათა ადამიანი [illegible] ჩაება განვითარების პროცესში, რომელიც [illegible] მშვიდობას მოიტანს.

ამის იმედი აქვთ მთელი [illegible] ლიოს ოჯახებს, ამაში [illegible] მსოფლიო მომავალ [illegible] ვას, სადაც ოჯახი იქნება [illegible] რთობის, პატივისცემისა [illegible] სიყვარულის წმიდათაწმიდა ადგილი.

ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით!

(დასასრული)

იძლევა. არის ქვეყნები, რომლებიც ტერორისტული გამოხდომებით, დანაშაულობებით, ნარკობიზნესით უფრო მეტად არიან დაზიანებული, ვიდრე საქართველო. მაგრამ ასეთი სანქციები მათ მიმართ არ განუხორციელებიათ.

არა მგონია, იზოლაციის პოლიტიკას რაიმე შედეგი მოჰყვეს. პირიქით, ჩემი აზრით, რაც უფრო მეტი იქნება კონტაქტები, რაც უფრო გაბედულად შემოვა დასავლეთის ბიზნესი საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში, რაც უფრო დიდი მნიშვნელობისა და გლობალური იქნება ეკონომიკური პროექტები, რომლებსაც ჩვენ ახლა ვადგენთ და ვიწყებთ რეალურ მოქმედებას, მით უფრო მეტად გამოეცლება საფუძველი ტერორიზმსაც, აგრესიულობასაც და შეიქმნება იმის ეკონომიკური წანამძღვრები, რომ კონფლიქტებს ჩვენს რეგიონში საერთოდ მოეღოს ბოლო.

— გასულ კვირას გამოქვეყნდა თქვენი მიმართვა პარლამენტისადმი, რომელსაც უახლოეს მომავალში მისაღებ კანონთა ნუსხა ერთვის. შემოქმედებითი კავშირებისა და მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ პლენუმზე მიიღეს მიმართვა თქვენდამი, რომელშიც ასევე ლაპარაკია ქვეყანაში არსებულ კრიზისულ ვითარებაზე და ხელისუფლების გაძლიერების, სახელმწიფოს მეთაურის ხელში არსებული რეალური ძალაუფლების თავმოყრის აუცილებლობაზე, დაფიქსირებულია დღეს ქვეყანაში არსებული ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. როგორ ფიქრობთ, ინტელიგენციის სურვილი, იკისროს პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი პროცესებისათვის, გარკვეულ წილად, ხელისუფლების დეფიციტით ხომ არ არის განპირობებული?

— მე დიდი ყურადღებით წავიკითხე შემოქმედებითი კავშირების, მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლების საერთო კრების დოკუმენტები, და არა მარტო წერილი ჩემს სახელზე. ვნახე ტელეგადაცემაც, რომელმაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ჩვენი ინტელიგენცია იჩენს უდიდეს პასუხისმგებლობას ასეთ რთულ ეტაპზე ქვეყნის განვითარებისათვის და არც თვითონ გაურბის პასუხისმგებლობას. ამავე დროს, სავსებით კანონზომიერად, ინტელიგენცია მოითხოვს ხელისუფლების გაძლიერებას და იმ სისუსტეების დაძლევას, რომლებსაც დღეს იჩენს თავის საქმიანობაში აღმასრულებელი ხელისუფლება, კერძოდ, სახელმწიფოს მეთაური. ამ შენიშვნებს და კრიტიკას მე ვეთანხმები, მადლობას ვწირავ ჩემს მეგობრებს, რომლებიც ამ შენიშვნებს გამოთქვამენ, რადგან ეს პირადად ერთი პიროვნებისადმი კი არ არის მიმართული, არამედ საერთო სურვილის გამოხატულებაა იმისათვის, რომ ქვეყანაში დამყარდეს წესრიგი და ხალხმა ნორმალურად იცხოვროს, ქვეყანა ადრე გამოვიდეს კრიზისიდან. ამის რეზერვები და რესურსები ჩვენ გვაქვს.

მინდა ვუთხრა ჩვენს მოსახლეობას, რომ ეს შენიშვნები გათვალისწინებული იქნება. საჭიროა მეტი სიმკაცრე და მომთხოვნელობა, რა თქმა უნდა, კანონისა და დემოკრატიის პირობებში, და კანონების მოთხოვნათა დაცვა. ჩვენი კანონები, არასრულყოფილების მიუხედავად, მაინც იძლევა იმის საშუალებას, რომ ვაცილებით უკეთესი წესრიგი და უკეთესი ცხოვრების პირობები იყოს. ამასთანავე მინდა ვთქვა ისიც, რომ პარლამენტის ზოგიერთმა ფრაქციამ, ზოგიერთმა პარლამენტარმა უნდა გადასინჯონ თავისი დამოკიდებულება აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი. სახელმწიფოს მეთაური უნდა გახდეს მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სიმშვიდის გარანტი და ამაში პარლამენტი, ცალკეული პარლამენტარები და ფრაქციები ხელს კი არ უნდა უშლიდნენ, არამედ ხელს უნდა უწყობდნენ მას. ჩვენ უნდა მიგვაჩნდეს, რომ პატარა ქვეყანაში პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება რკინის კედლით არ არის გათიშული. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით და მე ვიტყოდი, ასეთი შეურიგებლობა და ხანდახან რაღაც ზიზღიც კი იმათ მიმართ, ვინც სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობს, ჩემი აზრით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთი პარლამენტარი, ზოგიერთი ფრაქცია სრულად იზიარებდნენ პასუხისმგებლობას, რომელიც მათაც ეკისრებათ.

ერთხელ კიდევ მოვუწოდებ ყველას — ნუ შევუშლით ხელს ერთმანეთს, დავეხმაროთ ერთმანეთს, რათა ქვეყანა გამოვიყვანოთ კრიზისიდან.

— გასულ კვირას საქართველოში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯეიმს კოლინზი. გუშინ თურქეთის ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე ბატონი ჯინდორუქი ჩამობრძანდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომისიის მესამე სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. რამდენიმე დღეში აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ეწვევა საქართველოს. როგორ შეაფასებდით ამ ვიზიტებს?

— ბატონ ჯეიმს კოლინზს დიდი ხანია ვიცნობ, იგი თავის დროზე მოსკოვში მუშაობდა, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და, მაშასადამე, კავშირში შემავალი დღევანდელი ქვეყნების ერთ-ერთი დიდი სპეციალისტია. იგი პრეზიდენტის მაღალი რანგის წარმომადგენელია. ჩვენი დიალოგი ძირითადად გლობალურ საკითხებს ეხებოდა. ამავე დროს განვიხილეთ ორმხრივი ურთიერთობა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რამდენ მაღალია ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის დონე, და რა დიდია მათ შორის არსებული ნდობა. ძალიან დეტალურად განვიხილეთ აფხაზეთის ვითარება. ბატონმა კოლინზმა დამარწმუნა, რომ იგი, ისევე როგორც აქამდე, ამერიკის შეერთებული შტატები, მისი პრეზიდენტი, კვლავაც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხებისადმი. ისინი თავს საქართველოს მეგობრებად თვლიან და ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს უშიშროების საბჭოში კიდევ უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი.

რაც შეეხება თურქეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის ბატონ ჯინდორუქის ვიზიტს, იცით, რომ ეს ჩამოსვლა დაკავშირებულია შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომისიის მესამე სხდომასთან, რომელიც ამ დილით დაიწყო. ამავე დროს იგი მიზნად ისახავს იმ დიალოგის გაგრძელებას, რომელიც ჩვენს ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობდა, უნდა გითხრათ ზოგი რამ თვით ამ კომიტეტის შესახებაც. ასეთი კომიტეტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი მეც გახლდით, რადგან მიმაჩნდა, რომ ამ სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობა ვერ იქნებოდა სტაბილური და ყოველმხრივ ხელსაყრელი პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების გაუთვალისწინებლად.

ბატონ ჯინდორუქის ჩამოსვლა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენს დიდ მეზობელთან — თურქეთთან საუკეთესო მეგობრული და მეზობლური ურთიერთობის მშენებლობის გზაზე. გუშინ ჩვენ შორის გაიმართა შესანიშნავი, ნამდვილი მეგობრების საუბარი. ჩემი აზრით, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. თურქეთი გაგებით ეკიდება ჩვენს პრობლემებს, ტკივილებს, ეს კიდევ ერთხელ დამიდასტურა ბატონმა ჯინდორუქმა და მითხრა, თუ რა თქვა ბატონმა დემირელმა საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობის მნიშვნელობაზე, გადმომცა მისეული შეფასებანი და სურვილი, რომ ჩვენ კვლავაც დინამიკურად ვაშენოთ ეს ახალი ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. მე ისიც მინდა ვთქვა, რომ თურქეთი გვეხმარება, და ეს იციან ჩვენმა მოქალაქეებმა. მაგრამ რამდენადაც ახლა ბატონი ჯინდორუქი აქ იმყოფება, მინდა ეს ინტერვიუც გამოვიყენო იმისათვის, რომ მადლობა ვუთხრა მას, თურქეთის ხელისუფლებას იმ მორალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერისათვის, რომელსაც ამ ბოლო დროს ვგრძნობთ, და ჩვენი ხალხის სახელით გამოვთქვა მადლიერება ამის გამო.

რაც შეეხება ჰეიდარ ალიევის ვიზიტს, ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ მის ჩამობრძანებაზე. ბუნებრივია, უწინარესად, განვიხილავთ ორმხრივ ურთიერთობას, რომელიც შესანიშნავად ვითარდება. მაგრამ მე, ვიტყოდი, იქნებ ეს არ იყოს მთავარი, შეიძლება ეს სხვა დონეზე განგვეხილა და სხვა დონეზე გამოგვეძებნა გადაწყვეტილებათა სხვადასხვა ვარიანტი. არსებითი თემა იქნება კავკასიის პრობლემები, კავკასიაში დღეს არსებული ვითარება და ამ პრობლემების მოგვარებისა და გადაწყვეტის გზები. ჩვენ უკვე რამდენჯერმე ვხვდებით ერთმანეთს მას შემდეგ, რაც ბატონი ალიევი აზერბაიჯანში დაბრუნდა. ეს შეხვედრები გამოირჩევა განსაკუთრებული ნდობისა და მეგობრობის, ურთიერთგაგების ატმოსფეროთი და ჩვენ გვექნება საფუძველი ვილაპარაკოთ იმაზე, თუ, როგორ უნდა ვიცხოვროთ რეგიონის სამმა სახელმწიფომ — აზერბაიჯანმა, სომხეთმა და საქართველომ მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის ვითარებაში, როგორ შევქმნათ ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო უშიშროების გარანტიები, როგორ ვაშენოთ ურთიერთობა ჩვენს მეზობლებთან — დიდ რუსეთთან, თურქეთთან, ირანთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, რუმინეთთან და სხვებთან, რომლებთანაც გვაკავშირებს ურთიერთობის საკმაოდ დიდი ტრადიციები. აი ეს იქნება ჩვენი დიალოგის მთავარი თემა. თქვენ იცით ჩვენი სამივე სახელმწიფოს მეთაურთა აზრი იმის თაობაზე, რომ საჭიროა კავკასიური დიალოგი, ასეთი ინსტიტუტის შექმნა. საკმაოდ აქტიურად უჭერს მხარს ამ იდეას რუსეთის პრეზიდენტიც და მზად არის მონაწილეობაც მიიღოს. ვფიქრობ, ეს შეხვედრა ერთ-ერთი ნაბიჯია ამ სისტემური და მუდმივი დიალოგის განვითარების გზაზე.

საქინფორმი.

პარალელური მონოლოგები

93-ის 27 სექტემბერი

კაცის სული ხომ ზოგჯერ მეტს გვაუწყებს, ვიდრე მაღალზე მდგომი შვიდი მეთვალყურე.

სიბრძნე ზირაქისა, 36,14.

ლონდერ ცაავა სოხუმში ჩასული იყო როგორც სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი. იგი ძალიან კარგად იცნობს აფხაზეთს — გაგრაში მუშაობდა მამამისი, იქ ცხოვრობდა. ჰქონდა ბევრი შეხების წერტილი აფხაზეთთან, ნაცნობობა და მეგობრობა — უფრო მეტი.

შარშან 28 სექტემბერს ტელეფონით ველაპარაკე (თუ 25-ში?) — ახლა აქ ძალიან დიდი სროლაა, იატაკზე ვართ თითქმის გაწოლილები. ცოტა ხანში დამირეკე და ბევრ საინტერესო ამბავს მოგიყვები, მითხრა. ნახევარ საათში ისევ დავურეკე. არავინ მიპასუხა.

ერთ საათში უკვე ყოველგვარი კავშირი გაწყდა სოხუმთან.

მხოლოდ რამდენიმე კვირის წინ მომეცა საშუალება (როგორც ჩანს, ისეა დაკავებული) მეკითხა მისთვის:

— ლონდერ, რა საინტერესო ამბების მოყოლას მპირდებოდი სექტემბერში?

და ლონდერ ცაავა მომიყვა იმას, რასაც მაშინ აპირებდა და იმასაც, რაც შემდეგ მოხდა. მაგრამ მანამდე ძალიან საინტერესო ანალიზი შემომთავაზა, ვთქვათ ასე, თამაზ ნადარეიშვილის და ჟიული შარტავას პერიოდების აფხაზეთისა, რაც საბოლოოდ ასეთ ფორმულაში ჩაეტია: ეს იყო ორი განსხვავებული პერიოდი და ორივე ხელმძღვანელი აკეთებდა ზუსტად იმას, რაც მაშინ, იმ მდგომარეობაში იყო საჭირო.

ამ საინტერესო საუბრის პუბლიკაციის საშუალებაც მოგვეცემა ალბათ.

ბატონი ლონდერ ცაავა ჰყვება.

8. სოხუმის გადარჩენის იმედი რომ გადამეწურა...

— **საშიშროების** მუდმივი განცდა, მუდმივი დაძაბულობა ჩვენი ნორმალური მდგომარეობა იყო, რეალობა გვაიძულებდა — განუწყვეტელი დაბომბვა, სროლა, სისხლი, სიკვდილი. ამ უმძიმეს სიტუაციაშიც კი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს არ ღალატობდა სიმხნევე და იუმორის გრძნობა, მოსწრებული თქმით. გაქილიკებით გამოხატავდა სიტუაციას და ეს იყო ჟანგბადის ყლუპივით უჰაერო სივრცეში.

ნებისმიერ კრიტიკულ მდგომარეობაში ემოციის დაცხრობის, დაფიქრების და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტილების მიღების მაგალითს გვაძლევდა. მაგრამ მოგიყვებით ერთ შემთხვევას, როდესაც ემოციამ აჯობა მის სამაგალითო თავდაჭერილობას.

ისე მოხდა, რომ ოთახში ოთხნი აღმოვჩნდით: ბატონი ედუარდი, ჟიული შარტავა, სანდრო კავსაძე და მე.

მცირე შესავალი.

სოხუმის გადარჩენის იმედი ჩემთვის რომ გადამეწურა (მდგომარეობიდან გამომდინარე, ცხადია), რამდენჯერმე ვუთხარი ბატონ ჟიულისაც და ბატონ სანდროსაც — ხომ არ გვეფიქრა-მეთქი იმაზე, რომ სახელმწიფოს მეთაურს დაეტოვებინა ქალაქი? თუ არა და, გარანტირებული უსაფრთხოების პირობები შევუქმნათ-მეთქი. მაგრამ ეს უკანასკნელი ფაქტობრივად არარეალური ჩანდა, ომი იყო. ისინი იზიარებდნენ ჩემს შეშფოთებას, მაგრამ ვინ გაბედავდა და ეტყოდა ამას ედუარდ შევარდნაძეს? საუბრის წამოწყებაც კი ძნელი იყო, თუმცა სერიოზული არგუმენტი ყველას უამრავი გაგვაჩნდა.

აი, თუნდაც ერთი: სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე მტერმა რადიოსარელეო კვანძი აიღო და ყოველგვარი კავშირი გარე სამყაროსთან გაწყდა. წარმოიდგინეთ, სახელმწიფოს მეთაური კავშირის გარეშე? ჩვენ ვფიქრობდით, რომ თუნდაც ამის გამო იგი უნდა გადასულიყო თბილისში ან სხვაგან, სადაც ასეთი კავშირი ექნებოდა, და იქიდან ემართა სიტუაცია. სოხუმში ხელფეხმოჭრილივით იყო. სწორია, არა სწორი? — ასე კი ვფიქრობდით.

ორი დღე ვწვალეთ.

აი, იმ დღეს, რომელზეც ვსაუბრობ, სანდრო კავსაძემ წამოიწყო ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ გაუბედავად იყო ნათქვამი, თუ გაუგებრად, ვერ გეტყვით, ისიც შეიძლება, რომ ბატონმა ედუარდმა განგებ წაუყრუა — ვერ გაიგო თითქოს, ისეთ უაზრობად მიიჩნია, არ აღშფოთებულა — რა დროს მაგაზე ლაპარაკიაო, ეს კი თქვა და განაგრძო საქმე.

მისი ასეთი რეაქცია საჩვენოდ ავხსენით: ესე იგი, შეიძლება ამ საკითხზე საუბარი და რაღაც არგუმენტი სახელმწიფოს მეთაურის ამ სიტუაციაში ყოფნის შეუძლებლობაზე მეც მივაშველე.

ამაზე ცოტა უფრო მკაცრად გვიპასუხა, მაგრამ არ მოგვეჩვენა, რომ კატეგორიული იყო, თანაც სასწორზე მისი სიცოცხლე იდო და უკან დახევა უკვე მართლა არ შეიძლებოდა. ვანიშნეთ ბატონ ჟიულის გაეგრძელებინა, და მანაც კატეგორიული ტონით (ჟიულის ავტორიტეტი დიდი ჰქონდა შევარდნაძესთან) თქვა ის, რაზეც ჩვენ ერთმანეთში პრინციპულად შეთანხმებული ვიყავით. და მაშინ...

და მაშინ დაკარგა წონასწორობა, პირველად და უკანასკნელად, ედუარდ შევარდნაძემ და საფერფლეს დაავლო ხელი.

განრისხებულმა დაავლო ხელი საფერფლეს და მოგვიქნია — როგორ ბედავთ ამის თქმას და, საერთოდ, რაზეა ლაპარაკი?!

ასეთი შევარდნაძე არც გინახავთ და ვერც წარმოიდგენთ, მაგრამ ასე იყო.

ასე იყო იმ ექსტრემალურ, მაგრამ ყოველგვარი პირობითობისგან თავისუფალ გარემოში, როდესაც არ იცი, დაწყებული წუთის ჩათავებამდე დარჩები თუ არა ცოცხალი. კაცმა არ დამალა კაცური რეაქცია, ადამიანურ აღშფოთებას უფლება მისცა გამომჟღავნებულიყო.

ასეთი შევარდნაძე სოხუმიდან წამოვიდოდა?

ამ თემაზე სხვა საუბარი აღარ შემდგარა.

* * *

— ბოლო დღეს ოცდაშვიდში, — **იწყებს საუბარს ლონდერ ცაავა.**

და პაუზა ჭრილობის გახსნასავით.

ფიქრით სოხუმშია.

ვისარგებლებ ამ პაუზით და გეტყვით, რომ იმ დღეებში ხელმძღვანელები ფრონტის ცალკეულ მონაკვეთებზე გააპიროვნეს. ლონდერ ცაავას აეროპორტი ჩააბარეს. ერთადერთი დამაკავშირებელი, არ ვიცი, რა ვუწოდო, ალბათ, — არხი თბილისთან. ისიც ფრიად პირობითი, რადგან განუწყვეტლივ იბომბებოდა აეროპორტი.

ჰყვება ლონდერ ცაავა აეროპორტის ამბავს:

— აქ ჩვენს დეპუტატებთან ვახტანგ ყოლბაიასთან, გია გვაზავასთან, აფხაზეთის გენერალურ პროკურორთან ანზორ ლაცუზბაიასთან და თბილისის ნაძალადევის რაიონის პროკურორთან ლაურ ჯანაშიასთან ერთად ვიყავი. ამ უკანასკნელის აფხაზეთში ყოფნის შესახებ ფაქტობრივად არავინ არაფერი იცის, მან კი, მე რომ მკითხოთ, თავის წინაშე მოიხადა თავისი ვალი...

თითქმის ყველა ჩვენი თვითმფრინავი, რომელიც აეროდრომს მიუახლოვდა, ჩამოაგდეს. ჩემს თვალწინ დაშვებისას აფეთქდა მხედრიონელების თვითმფრინავი... გადახსნილი, შიგ ჩამწვარი ხალხით ეგდო ასაფრენი ზოლის გარდიგარდმო.

საშინელებაა!..

ასაფრენი ზოლი ბლოკირებულია — ძაბრების და თვითმფრინავების ნამსხვრევები, დახოცილები, დამწვარი ბიჭები... მტრის არტილერიას პრაქტიკულად ჩარაზული აქვს დასაშვები ტრასა. რაიმე იმედი, რომ აქ კიდევ დაეშვება რომელიმე თვითმფრინავი, არ არის. და სწორედ ამ დროს მირეკავს სანდრო კავსაძე შტაბიდან და მეუბნება, რომ ხვალ საღამოს ასაფრენი ზოლი მზად უნდა იყოს თბილისიდან საგანგებო მნიშვნელობის რეისის მისაღებად.

ამ დავალების შესრულება მშვიდობიან დროსაც გაჭირდებოდა. აქ კი...

მაგრამ საქმე ეხებოდა ტყვია-წამალს, რომელიც ჩვენს ნაწილებს თითქმის მთლიანად გამოლეული ჰქონდათ და კიდევ — ეს იყო ბრძანება. ბრძანება ომის დროს გაცემული. მაშასადამე შესასრულებელი!

ეს ბრძანება შესასრულებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ არ ეღალატებოდა იმ ხალხს, ვინც თვითმფრინავს თბილისიდან წამოიყვანდა, და ძალიან კარგად იცოდა, თუ რა რისკს გაწევდა. ლონდერ ცაავამ ავიაციის ჩვენი დეპარტამენტის ხელმძღვანელის პირად ვაჟკაცობაზე ილაპარაკა, იმაზე, რომ იგი მხოლოდ დავალებას კი არ აძლევდა პილოტებს, თვითონაც გვერდით დაუჯდებოდა და, ერთის მხრივ, საკუთარ სიცოცხლესაც სასწორზე დებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, კოლეგებს მხნეობას მატებდა — სადაც თქვენ, იქაც მე, და ყველაფერი კარგად დამთავრდებაო.

იმედიანი მფრინავი უსაფრთხო ფრენის სერიოზული გარანტია.

კი — მოფრინდებიან.

მაგრამ...

მაგრამ გააფთრებით ბომბავენ სოხუმის აეროპორტს. მტერს კარგად ესმის მისი მნიშვნელობა ჩვენი ჯარისთვის. თითქმის ყველაფერი, რაც აეროდრომზე იდგა, დაზიანდა და დაიწვა, — დამხმარე შენობები, მომსახურების ტექნიკა, თვითმფრინავი. ცეცხლი ისეთი ძლიერია, რომ აეროპორტის დირექციის შენობის პირველ სართულზე თავშეფარებულ ჩვენებს არავითარი გარანტია არა აქვთ, რომ თვითონაც ნანგრევებში არ მოჰყვებიან.

მაგრამ სამუშაო უნდა შესრულდეს, ძალიან მძიმეც და ძალიან სათუოც: ასაფრენ ზოლზე ხომ დამწვარი ბიჭები არიან დასვენებული!

ამ დროს კი მთელი დასავლეთის ფრონტი, რომელიც სოხუმშია უკვე კონცენტრირებული, ელოდება ტყვია-წამალს, რომელსაც თბილისიდან ჩამოიტანს საგანგებო მნიშვნელობის თვითმფრინავი.

შეუძლებელი შეძლეს. შეძლეს ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, რომელიც იქვე, ბუნკერში აფარებდა თავს, მაგრამ რომ სთხოვეს, გამოვიდნენ მამაკაცები და თითქმის შიშველი ხელებით გაზიდეს ომის ნამსხვრევი. როდესაც ძალიან გახშირდებოდა სროლა, ბუნკერში „გადაიწვიმებდნენ“ და ისევ მუშაობდნენ...

იმ საღამოს სოხუმის დამცველებმა ტყვია-წამალი მიიღეს.

ის საღამო 26 სექტემბერი იყო.

27-ში დილით ლონდერ ცაავა ქალაქში ჩავა.

ხოლო დაღუპულები...

მე ვერ აგიწერთ იმას, რასაც ლონდერ ცაავა მოჰყვა — რა უმაღლესი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონოდა კაცს, რომ ამ ცეცხლის გეენაში საკუთარ სიცოცხლეზე ფიქრი დავიწყებოდა და სხვისი ჩამქრალი სიცოცხლისთვის წესისამებრ პატივი მიეგო.

— 27-ის დილიდან ისევ სოხუმში წავედი, და ანზორ ლაცუზბაიამ და ლაურ ჯანაშიამ, ამ ორმა კაცმა, მაშინ, როდესაც ყველა თავის გადარჩენაზე ფიქრობდა, სადღაც იშოვეს ავტომანქანა, სადღაც ბენზინიც იშოვეს და 100-ზე მეტი დამწვარი, უკვე გახრწნილი გვამი სათითაოდ ცელოფნებში გაახვიეს, ყველა დაღუპულის საბუთი მოძებნეს. წააწერეს თითოეულს ვინაობა, ყველა სათითაოდ დაასაფლავეს, ყვავილები დადეს ყველა საფლავზე და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრეს იქიდან წამოსვლაზე.

ამ ვალის მოხდაზე გეუბნებოდით...

თქვენ იცით, რომ ფრონტის წინა ხაზი მინისტრთა საბჭოს შენობაზე გადიოდა. გულახდილად გეტყვით, ძალიან მეეჭვებოდა, რომ იმ დროს სამოქალაქო დაწესებულების იქ ყოფნა გამართლებული იყო. ვუთხარი კიდეც ამის შესახებ ჟიული შარტავას 26-ში საღამოს. თითქოს მეთანხმებოდა, მაგრამ მაინც იმ აზრზე დარჩა, რომ ჩვენი ყოფნა მინისტრთა საბჭოს შენობაში დიდი იმედი იყო ხალხისთვის: — ხშირად რეკავენ, — მითხრა, და მართლაც ასე იყო, — და ჩვენ რომ აქედან ვუპასუხებთ, გამხნევდებიან და პანიკა არ იქნებაო.

27-ში დილით ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან და მის პირველ მოადგილესთან ლადო გიორგაძესთან ერთად უკრაინის გემებზე დაჭრილებისა და გვამების ტრანსპორტირების ორგანიზაციის საკითხით ვიყავი დაკავებული. მანამდე კი, დილაადრიან გულრიფშის საპასპორტო მაგიდის უფროს ზაურ საჯაიას ვთხოვე მინისტრთა საბჭოში მისულიყავით, დაგვეხედა ჩვენებისთვის. თუ გული გეთანადრება, ნუ წამოხვალ-მეთქი, ესეც ვუთხარი.

ისე შემომხედა, შეეგინებინა აჯობებდა.

წითელი ხიდი რომ გავიარეთ, ეს ყველაზე საშიში ზონა, და ქალაქში შევედით, შემზარავი სიჩუმე დაგვხვდა, ავის მომასწავებელიო რომ იტყვიან, ისეთი. იმ დილით ქალაქის ცენტრში, მგონი, მარტო ჩვენი მანქანა მოძრაობდა. და არავინ ისროდა.

შევედით შენობაში და ყველა იქ არ დაგვხვდა? აკაკი გასვიანი, თავმჯდომარის მოადგილე, რაულ ეშბა, გურამ გაბისკირია — ქალაქის მერი, ჯუმბერ ბეთაშვილი, საქმეთა მმართველი, აპარატის მუშაკები, მაპატიონ, ყველას თუ ვერ ჩამოვთვლი. მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, ჩემი აზრით, არამედ ის, რომ არც ერთი მათგანი შენობის დატოვებას არ აპირებდა. ყველა მხნედ და საბრძოლო განწყობილებით იყო. თუმცა, მაშინ ჩვენ არ ვფიქრობდით, რომ ყველაფერი ასე მალე დამთავრდებოდა.

სამუშაო ოთახი მეთერთმეტე სართულზე მქონდა. რაღაც დოკუმენტები დამრჩა წასაღები. ავედი, ავიღე. და ის იყო ჩამოსასვლელად გავემზადე, რომ ფუნიკულიორის მხრიდან ცეცხლი დაუშინეს მინისტრთა საბჭოს შენობას. აქა-იქ ხანძარიც გაჩნდა.

გავედით.

ჩავსხედით მანქანაში. ქვემოთ სანაპიროზე ხელჩართული ბრძოლა შევნიშნეთ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი უკვე ქალაქში იყვნენ.

გადმოვედით წითელ ხიდს და მივედით შტაბში, იქ ყოფილ სანატორიუმში, სადაც ჩვენი ჟურნალისტები, ოთხმხრივი კომისიის წევრები იყვნენ დაბინავებულნი, რომ გამეფრთხილებინა — [illegible] ევაკუაციაზე. ვერავინ ვნახე, გარდა გაეროს გენერლის ვიდეგარტის და მისი თანმხლები ქალისა.

აქ, ერთ მომენტზე გააკეთა აქცენტი ლონდერ ცაავამ: სოხუმიდან, სადაც ბოლო მოლაპარაკებაც უშედეგოდ დამთავრდა, ორი შვეულმფრენით ბრუნდებოდნენ. პირველში ჩვენი დელეგაცია იჯდა, მეორეში — ოთხმხრივი კომისიის სხვა წევრები, მეთვალყურენი. გუდაუთას რომ მიუახლოვდნენ, აფხაზებმა (დავარქვათ ასე), შესანიშნავად გათვლილი და დამუშავებული მანევრით აიძულეს ის მეორე შვეულმფრენი იქაურ აეროდრომზე დამჯდარიყო. ასე მარტივად გამოიყვანეს აქტიური საომარი ოპერაციების ზონიდან, ვთქვათ პირდაპირ — დაგეგმილი შეტევის ზონიდან საერთაშორისო დამკვირვებლები „უზრუნველი მოწმენი“, რითაც სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორიც მოხსნეს. ის გენერალი, რომელიც სანატორიუმში დახვდა ლონდერ ცაავას, უნებური მძევლის როლში აღმოჩნდა.

— ჩემი დამტვრეული ინგლისურით ავუხსენი მდგომარეობა.

ჟიული შარტავა შტაბიდან წასულიყო მინისტრთა საბჭოში. მისი უახლოესი მეგობარი და ნათესავი ბონდო კუპავა, რომელიც წუთითაც არ სცილდებოდა მას, ძალიან შეწუხებული დამხვდა იქ. — ხომ იცი მაგის ხასიათი, — მითხრა ჟიულიზე, — თავი მოიკლა და არ წამოიყვანა. არც აქ დარჩა. ახლა დაგვირეკეს, რომ ალყაშიაო მინისტრთა საბჭო.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე სასწრაფოდ იწვევს თათბირს — უნდა ვუშველოთ ალყაში მოხვედრილებს.



არმაზ სანებლიძე.

(დასასრული იქნება)

დასაწყისი იხ. „სრ“ №№ 52, 3, 54, 55, 67, 68, 69.

რეპორტაჟი ანკარიდან

ეს ჩვენს მომავალს სჭირდება

თითქოს გუშინ იყო: 1988 წლის 30 აგვისტოს გაიხსნა სარფის საზღვარი. ახლა თბილისში გახსნილია თურქეთის საელჩო, რომელმაც უკვე ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ჩვენი ორი ქვეყნის დაახლოებისათვის.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ დღეებში ანკარაში გაიხსნა და მუშაობას შეუდგა ჩვენი რესპუბლიკის საელჩო, რომელმაც თურქეთის დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ რაიონში დაიდო ბინა.

ამ ლამაზი შენობის თავზე უკვე ფრიალებს საქართველოს დროშა.

მივდივარ თბილისში, რომ შევხვდე ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ამ სიტყვებით დაიწყო თავისი შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან თურქეთში ბატონ ნოდარ კომახიძესთან თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ჰუსამეთთინ ჯინდორუქმა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ელჩმა გადასცა მას საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის თავმჯდომარის გულითადი მოკითხვა და კეთილი სურვილები, ბატონმა ჯინდორუქმა აღნიშნა: — ბატონი შევარდნაძე მსოფლიო მასშტაბის ლიდერი და პოლიტიკოსია, ამიტომაც ყოველთვის დიდი ინტერესით მოველი მასთან შეხვედრას. ჩვენ ბევრი საკითხი გვექნება თბილისში განსახილველი, როგორც ორმხრივი ურთიერთობის სფეროში, ისე საერთაშორისო მასშტაბითაც. ამასთან, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თურქეთისა და საქართველოს პარლამენტების ურთიერთთანამშრომლობის გაფართოების საკითხებს.

შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომა, რომელიც 16 მაისს დაიწყება თბილისში, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა გახდება ამ გაერთიანებაში შემავალი ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის, თურქეთისა და საქართველოსათვის, რომლებიც ახალ ეტაპს იწყებენ თავიანთ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში.

საუბრის დროს მხარეები შეეხნენ საქართველოს ტერიტორიაზე ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის, ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობის, თბილისი-ბათუმი-ტრაპიზონი-ანკარის საჰაერო ხაზის, საქართველო-თურქეთის ორმხრივი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტების რეალიზაციის საკითხებს.

15 მაისს თურქეთის, რუმინეთისა და ალბანეთის საპარლამენტო დელეგაციებთან ერთად შავი ზღვის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისს გამოემგზავრა საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში ნოდარ კომახიძე.

გაეროს გვთხოვა, — ჩვენ მზად ვართ!

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი კარგად იცნობს საქართველოს. იგი არაერთხელ ყოფილა ჩვენი რესპუბლიკის სტუმარი. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს თურქეთში ნოდარ კომახიძეს მან უთხრა: — ახლა, თქვენი ქვეყნის მთავარი სატკივარი აფხაზეთია. ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მისი საზღვრების ხელშეუხებლობას, რადგან ყოველმხრივ ვართ დაინტერესებული იმით, რომ ჩვენი მეზობელი საქართველო იყოს ერთიანი და ძლიერი. ასეთივე პრინციპით ვუდგებით კავკასიის სხვა ქვეყნებსაც. ამიტომაც განვუცხადეთ თანხმობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომ მზად ვართ, თუ ეს საჭირო იქნება, გაეროს სამშვიდობო ძალებში, რომლებიც აფხაზეთში განლაგდებიან, ჩვენი სამხედრო კონტინგენტიც შევიყვანოთ. საერთოდ კი, ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ დაპირისპირებას არა მარტო აფხაზეთში. უნდა მოგვარდეს ე. წ. ყარაბაღის კონფლიქტიც. ეს ომი ყველას ძალიან გვიშლის ხელს, რომ ამ რეგიონში დამყარდეს მშვიდობა და წესრიგი, შეიქმნას პირობები ურთიერთთანამშრომლობისთვის.

რაც შეეხება თურქეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებს, აქ ძალზე დიდი პერსპექტივა გვაქვს. ვფიქრობ, — აღნიშნა ბატონმა ჩეთინმა, — საქართველოს საელჩოს ამოქმედება ანკარაში მნიშვნელოვნად დააჩქარებს იმ მიზანდასახულებების განხორციელებას, რომელიც ბატონ შევარდნაძის თურქეთში ვიზიტის დროს ჩვენს მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებებით არის გათვალისწინებული.

გასაკეთებელი, ერთობლივი ძალისხმევითა და მონდომებით, ბევრი გვაქვს. ბოლო ხანს თქვენი სახელმწიფოს მეთაურიც და სხვა ხელმძღვანელებიც ხშირად ლაპარაკობენ ფოთსა და ბათუმში დამოუკიდებელი ეკონომიკური ზონის მოწყობაზე. ამ საკითხით ჩვენც ვართ დაინტერესებული, რადგან ეს რეგიონები ჩვენს ქვეყანას ესაზღვრება. ახლა, როცა საქართველოში მიმდინარეობს პრივატიზაციის პროცესი, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეგვეძლო ერთობლივი ძალებით. მაგალითად, შეგვეძლო გვეკისრა, თუ ამას თქვენი მხარე შესაძლებლად მიიჩნევს, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების, ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია, სხვა პროექტების რეალიზაცია. შემდეგ შეიძლებოდა ფოთის, ბათუმისა და ტრაპიზონის თავისუფალი ეკონომიკური ზონების ერთობლივ გამოყენებაზეც გვეზრუნა. ეს საშუალებას მოგვცემდა მიგვეღო ისეთი შემოსავლები, რომელიც არავის ექნებოდა შავი ზღვის აუზში. ვაპირებ, ამ საკითხით დავაინტერესო თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარე და ვთხოვო მას იგი პარლამენტზე განსახილველად დააყენოს.

საქართველოს ელჩმა ნოდარ კომახიძემ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა რწმუნების სიგელის ასლი: საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და საგარეო საქმეთა მინისტრის გულითადი მოკითხვა... მან მადლობა გადაუხადა ბატონ ჩეთინს იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოიჩინა ანკარაში ჩვენი რესპუბლიკის საელჩოს გახსნის საქმეში. შეეხო რა ჩვენი საელჩოს მომავალი საქმიანობის, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მისი კონტაქტების საკითხებს, ბატონმა ჰიქმეთ ჩეთინმა აღნიშნა:

— მე ინტერესით ვადევნებდი თვალს თქვენს მგზავრობას სარფიდან-ანკარამდე. მართლაც შთამბეჭდავი ძველებური ყაიდის „ელჩობა“ გამოგივიდათ ქართველებს. ისიც ვიცი, როგორი პატივითა და სიხარულით გხვდებოდნენ ტრაპიზონში, ორუდში, სამსუნში გუბერნატორები, ქალაქების მერები, რიგითი მოქალაქენი, როგორ მოგაცილებდათ ვილაიეთების პოლიციის საპატიო ესკორტი.

დღეს კი ჩვენ გვაქვს პატივი გულითადად მოგესალმოთ თქვენ და საქართველოს მთელ ელჩობას ანკარაში და შევეცდებით აქაც ღირსეული მასპინძლობა გაგიწიოთ.

ბატონმა ნოდარ კომახიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ჰიქმეთ ჩეთინს გულთბილი, მეგობრული მიღებისთვის, საქართველოს საელჩოს, მისი პრობლემისადმი გამოჩენილი დიდი ყურადღებისა და მხარდაჭერისთვის.

დიდი მიზნები დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს!

ამბობს თურქეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბატონი ნოდარ კომახიძე, რომელსაც ვთხოვე გამოენახა დრო ჩვენი საუბრისათვის.

— მე პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე ვარ. ჩემი დიდი მასწავლებლების აკადემიკოსების გიორგი წერეთლის, სერგი ჯიქიას, პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის ლოცვა-კურთხევით უკვე 40 წელიწადია, როგორც თურქოლოგი, ვიკვლევ ამ ქვეყნის ისტორიას, მისი განვითარების გზებსა და თავისებურებებს, რასაც 100-ზე მეტი შრომა და 5 მონოგრაფია მივუძღვენი.

ამ 30 წლის წინათ პირველად მოვხვდი თურქეთში, როგორც იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს პავილიონის ხელმძღვანელი. ასე დაიწყო ჩემი კავშირები ამ ქვეყანასთან და ხალხთან. ცხადია, სამი ათეული წელიწადი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ საკმაოდ კარგად გამეცნო თურქეთი, შემეძინა უამრავი მეგობარი.

ჩვენი ურთიერთობა შენდებოდა წლების მანძილზე, და ახლა, როცა მეტად საპასუხისმგებლო მისია დამაკისრეს, სწორედ ამ დიდი სიკეთის იმედით ჩამოვედი ანკარაში.

— ხომ არ გემძიმებათ თქვენთვის აქამდე უჩვეულო ტვირთი და... საერთოდ როგორ ფიქრობთ ამ საგანგებო მისიის შესრულებას?

— ბუნებით მეცნიერი კაცი ვარ, თუმცა ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფო სტრუქტურებშიც ვიმუშავე ისე, რომ ჩემს მშობლიურ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან კავშირი არ გამიწყვეტია. აქ გავიარე გზა უმცროსი მეცნიერ მუშაკიდან — განყოფილების ხელმძღვანელამდე, აქ გავხდი მეცნიერებების დოქტორი, პროფესორი.

ცხადია, სახელმწიფოს მეთაურის ასეთმა დავალებამ დიდ საგონებელში ჩამაგდო. ეს მართლაც არ არის იოლი საქმე, მაგრამ იმით ვიმშვიდებ თავს, რომ თავის დროზე სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობამ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შემძინა, ქვეყანას, სადაც უნდა ვიმუშაო, კარგად ვიცნობ, და კიდევ: — კაცმა რომ თქვას, ქართველი კაცისათვის დიპლომატია არასოდეს ყოფილა უჩვეულო რამ... რაც შეეხება იმას, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის ურთიერთობას ისეთ დიდ მეზობელთან, როგორიც თურქეთის რესპუბლიკაა, ამის თაობაზე ამჯერად არაფერს ვიტყვი, რადგან ეს ძალიან კარგად ესმის ყველა ჭეშმარიტ ქართველს. ვიტყვი მხოლოდ, რომ ძალიან დიდი მიზნები გვაქვს... გაიხსენეთ, ხელმოწერილია 20-მდე დიდი ხელშეკრულება, რომლებიც ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხება. ამ დოკუმენტებზე ორივე ქვეყნის ხელმძღვანელების ედუარდ შევარდნაძისა და სულეიმან დემირელის, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრების — ალექსანდრე ჩიკვაიძისა და ჰიქმეთ ჩეთინის ხელმოწერებია. ჩვენი საელჩოს ძირითადი ფუნქცია სწორედ ის არის, რომ ხელი შევუწყოთ მათ პრაქტიკულ რეალიზაციას. ამასთან, ჩვენ ისიც გვევალება, რომ ღირსეულად წარმოვადგინოთ ჩვენი მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა მეზობელ ქვეყანაში, შევქმნათ სათანადო, საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე, ქვეყანაზე, რომელსაც თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ინტელექტუალური პოტენციალით, მეტად მნიშვნელოვანი როლისა და ფუნქციის შესრულება შეუძლია არა მარტო კავკასიისა და შავი ზღვის მთელ რეგიონში.



სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს შენობა ანკარაში.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის რომ ვიყოთ ნამდვილი ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის და ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ.

უკვე რამდენიმე დღეა შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას. შევხვდი თურქეთის პარლამენტის, საგრეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებს. მალე თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გადავცემ რწმუნების სიგელს.

ძალზე მახარებს, რომ ყოველდღიურად სულ უფრო იზრდება ჩვენი საელჩოს სტუმართა რიცხვი. აქ უკვე იყვნენ თურქეთის ცნობილი მოღვაწეები: იბრაიმ ართვინლი, რიფაიდინ შაჰინი და სხვები.

მოდიან საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ბიზნესმენები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მოაქვთ საინტერესო წინადადებები, პროექტები. ძალიან დიდია ინტერესი და, დარწმუნებული ვარ, იგი დღითიდღე უფრო გაიზრდება. ეს კი თითოეული ჩვენგანისაგან მოითხოვს დიდსა და დაძაბულ შრომას, ძალისხმევას, რათა არ დავუკარგოთ საქართველოს ის სიკეთე, რომელიც შესაძლოა მივიღოთ თურქეთიდან, მეგობრულად გამოწვდილ ხელს მეგობრის ხელი უნდა შევაგებოთ...

— ბატონო ნოდარ, მოგეხსენებათ ელჩები მოგონებებსა და წიგნებს მაშინ წერენ, როცა საზღვარგარეთ მუშაობის შემდეგ სამშობლოში ბრუნდებიან შთაბეჭდილებებით დამძიმებულნი. თქვენ კი რატომღაც პირიქით გააკეთეთ — თურქეთში გამგზავრებამდე გამოეცით შესანიშნავი წიგნი „მეზობელო კარისაო“, რომელშიც მეტად საინტერესოდ არის განხილული ჩვენი ქვეყნების ახალ ურთიერთობასთან დაკავშირებული მოვლენები, მომავლის გეგმები, რითაც დიდი სამსახური გაგვიწიეთ ყველას, მათ შორის ჟურნალისტებსაც.

— წიგნებს მართლაც მერე წერენ ხოლმე და ასეთ შანსს, როგორც ამბობენ ხოლმე, თავის დროზე არც მე გავუშვებ ხელიდან, რადგან იმედი მაქვს, მომავალში სათქმელიც და დასაწერიც გაცილებით მეტი მექნება. რაც შეეხება ამ წიგნს, რომლის სათაურიც ერთი ჩვენებური ბრძნული ანდაზიდან ავიღე: „მეზობელო კარისაო“... იგი მიმოიხილავს თვისებრივად იმ ახალ ეტაპს, რომელიც ამ წლინახევრის წინათ დაიწყო ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში.

სახელმწიფოთა შორის მეზობლობას განგება აწესებს. ჩვენ კი ადამიანებმა, მთელი ჩვენი თაობების ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ იმას, რომ მეზობლობას თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ. ღმერთმა ქნას, ჩემი მომავალი წიგნისათვის ამ ბრძნული ანალიზის ბოლო სიტყვები „ნათელი ხარ თვალისაო“ მეწოდებინოს. მჯერა, ასეც იქნება.

ამ წიგნის წერა ისე დავიწყე, რომ ელჩობაზე არც მიფიქრია. იმედი მაქვს, რომ ჩემი ეს მოკრძალებული მცდელობა გამოადგება ყველას, ვინც გადაწყვეტს თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენს ქვეყნებს შორის საქმიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის გაფართოებაში.

გია ჭელიძე.

ინფორმაცია

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. სომხეთის რესპუბლიკის დროებითმა რწმუნებულმა საქართველოს რესპუბლიკაში ნიმო ხაჩატრიანმა განგვიცხადა, რომ ჯერჯერობით სომხეთის საელჩო თბილისის სომხურ თეატრში მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით განცხადებას არ გააკეთებს. ეს არ იყო პოლიტიკური აქტი. „მე, ჯერჯერობით, ვერავის დავადანაშაულებ, ყველაფერს გამოძიება დაადგენს" — დასძინა ნ. ხაჩატრიანმა.

მოსკოვი. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის წევრმა ბაბურინმა განაცხადა, რომ მას საქართველოს რესპუბლიკის მიმართ არა აქვს არავითარი პრეტენზია, რადგან დუმაში არ შესულა საქართველოში მცხოვრები რუსი ეროვნების მოსახლეობის არცერთი საპროტესტო წერილი, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, რომ მათ ცუდად ეპყრობიან. სამაგიეროდ ასეთი წერილები სახელმწიფო დუმაში ხშირად შედის აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქეთაგან.

ცხინვალი. ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმისა და უზენაესი საბჭოს წევრების ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობისა და სახელმწიფო ნიხასის წევრებთან შეხვედრისას, ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა ახსარბეკ გალაზოვმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ამოცანაა დაარწმუნოს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ახლადარჩეული ლიდერები მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას ქართულ მხარესთან ერთად. მან გამოთქვა აზრი, რომ საუკეთესო მომენტი მოლაპარაკებისათვის უკვე გაშვებულია ხელიდან. როგორც გალაზოვმა აღნიშნა, თავისთავზე იღებს პასუხისმგებლობას, დაარწმუნოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომ იგი იქნება ცხინვალსა და თბილისს შორის მოლაპარაკების მოწყობის ინიციატორი.

თბილისი. პარლამენტის წევრმა ჯანსულ ჩარკვიანმა განაცხადა, რომ აფხაზეთის გათავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარეს ბორის კაკუბავას არა აქვს უფლება 800.000 ლტოლვილის სახელით ილაპარაკოს. მას მხარს უჭერს მხოლოდ 300 ლტოლვილი აფხაზეთის რეგიონიდან. „14 მაისს პარლამენტის შენობის წინ ლტოლვილები ძალით მოიყვანეს" — დასძინა ჯ. ჩარკვიანმა.

თბილისი. სააგენტო „იბერიას" ცნობით, 15 მაისს, 12.00 საათზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შეკრება, რომელსაც 500-600 ადამიანი ესწრებოდა. შეკრებაზე იმსჯელეს 13-14 მაისს საქ. რესპ. პარლამენტში მიმდინარე მოვლენებზე და განიხილეს ქვეყანაში არსებული ვითარება. შეკრებას ვერ დაესწრო კავშირის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე, რომელიც ამ დროს თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციას ხვდებოდა.

შეკრებაზე მიიღეს განცხადება, რომელშიც მოქალაქეთა კავშირი სახელმწიფოს მეთაურს და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს სთხოვს გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მთელს ქვეყანაში კანონიერების დასაცავად.

თბილისი. საქართველოს მოქალაქეთა კავშირის შეკრებაზე გადაწყდა, რომ შეგროვდეს ხელმოწერები საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ზოგიერთი წევრისთვის ფსიქიური მდგომარეობის შემოწმება-გამოკვლევის მიზნით.

შეკრებაზე აგრეთვე ითქვა, რომ დეპუტატთა ერთი ნაწილი სხდომებს ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ესწრება.

ქურდები მიიმალნენ

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა შეაღწიეს გორის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში. ქურდებმა მოიპარეს ტელეფონის აპარატები, მაცივარი, საბეჭდი მანქანები, ტელევიზორი. ქურდები მიიმალნენ.

მიმდინარეობს გამოძიება.

დევნილთა გზით

აფხაზეთიდან აყრილი, მშობლიურ კერას მოწყვეტილი ხიზნები დაბა წყნეთმა შეგვიფარა, რომელსაც დევნილთა ნაკადი სოხუმის დაცემის შემდეგ მოაწყდა. კერამოშლილთ აქაც ცივი კედლები დაგვხვდა, მაგრამ რა გამოლევს ქვეყნად კეთილ ადამიანებს. ჩვენი გასაჭირი გაითავისეს და დახმარების ხელი გამოგვიწოდეს უცხოელებმაც და თანამემამულეებმაც. ისინი რომ არა, ალბათ, ძალიან გაგვიჭირდებოდა. უარაფროდდარჩენილებს გვიპატრონეს, სითბო გვიწილადეს, იმედი ჩაგვისახეს.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ფირმების „ASB"-ის, „IRS"-ს, „CARE"-ს, „ექსჯორჯიას", „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა დახმარების უმაღლესი კომისარიატისა" და „ხსნის არმიის" თანადგომა.

თანადგომა სიმხნევეს გვმატებს

უცხოელთა დახმარებას უპირველესად იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ისინი ჩვენი თვისტომნი არ არიან და არც არავინ მოსთხოვდა პასუხს, რატომ ლტოლვილთა ჭირ-ვარამი არ გაიზიარეო. ეს ხომ ჰუმანურობის გამოხატულება და ღვთის მიერ ადამიანთათვის დაკისრებული მოვალეობის შეგნებაა.

ამიტომაც, უღრმესი მადლობა მათ!

უყურადღებოდ არც თანამემამულეები გვტოვებენ. ამას რომ ვწერთ, უპირველესად გვახსენდება „საქვაჭრობის" თბილისის გაერთიანება „მამულისა" და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დახმარება.

საქართველოში ამ ბოლო წლებში თავს დატეხილმა უბედურებამ ხელისუფლება იმის აუცილებლობის წინაშე დააყენა, შეექმნა საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი, რომელსაც სათავეში გულისხმიერი, ყურადღებიანი და კეთილი კაცი ვალერი ვაშაკიძე უდგას, ყველაფერს რომ აკეთებს, რათა ოდნავ მაინც მოჰგვაროს შვება გაჭირვებულ ქართველს.

დევნილთა კომიტეტს ყურადღებას არ აკლებს წყნეთის გამგეობა და სამთავრობო აგარაკების სამმართველოს უფროსი რამაზ ჩხაიძე. მათი გულისხმიერი დამოკიდებულება ყველგან და ყველაფერში იგრძნობა.

ყოველივე ეს ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს დევნილები ადგილობრივებთან შედარებით უზრუნველად ვცხოვრობდეთ, რასაც ზოგიერთი გვაყვედრის ხოლმე, მაგრამ ჩვენი ყოფა-ცხოვრება წყნეთში იდილიური არ არის.

ფირმა „ჯორჯია ტრანსოილმა" უსასყიდლოდ გადასცა დაბა წყნეთის გამგეობას 5 ტონა ბენზინი. 2 ავტობუსი ემსახურებოდა დევნილებს, რომლებიც დღეში 6-6 ბრუნს აკეთებდნენ. ეს ბედნიერება 2 თებერვლიდან 8 მარტამდე გაგრძელდა. დევნილთა ცარიელ ჯიბეზე არავინ ფიქრობს და მადლიანი მძღოლის მოლოდინში, თოვლსა და ყინვაში, თაკარა მზეში უხდებათ დგომა ისედაც თავმოყვარეობაშელახულ ადამიანებს.

განსაკუთრებით მწვავედ დგას ლტოლვილთა პურით მომარაგების საკითხი. ყოველდღიურად დაბაში ქალაქის მე-6 პურის ქარხნიდან ამოაქვთ 400 ცალი ქართული პური, რომელიც 1130 კაცს თუ აკმაყოფილებს. არადა, დაბაში დღეს ხუთიათასზე მეტი დევნილია. დანაკლისი წყნეთის თონიდან შეივსება, რომელიც ხშირი უსინათლობისა და უწყლობის გამო შეფერხებით მუშაობს, და, ამდენად, ვერ ხერხდება ლტოლვილთა პურით მომარაგება, რაც სამართლიან გულისწყრომას იწვევს, დაბა წყნეთის ლტოლვილთა კომიტეტმა რამდენჯერმე მიმართა თბილისის ვიცე-მერს ბატონ მელორ ტყეშელაშვილს, რომელმაც შეპირებებით გამოგვისტუმრა და ეს პრობლემა დღესაც მძიმე ტვირთად გვაწევს კისერზე.

მაშინ, როცა უცხოელი და თბილისელი ცდილობს ამ მძიმე ჟამს ჩვენს გვერდით დადგეს, გაგვამხნევოს და უიმედობა დაგვაძლევინოს, ჩვენდა გასაოცრად, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს წევრები და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატები ახლოსაც არ გვეკარებიან. ამ შვიდი თვის მანძილზე ერთხელაც არ ამოსულან და არ დაინტერესებულან იმ ხალხის ბედით, რომლებმაც მხარი დაუჭირეს და ხმა მისცეს მათ კანდიდატურებს. სხვისგან ყურადღება ორმაგად გახარებს, მაგრამ შენი მთავრობის უგულისყურო დამოკიდებულება ტკივილებით გავსებს. კაცი მაინც იმედით ცხოვრობს და იქნებ ამ წერილის შემდეგ მაინც მოიცალონ ჩვენთვის და დაინტერესდნენ დაბა წყნეთში შემოხიზნულ თანამოქალაქეთა ბედით.

კიდევ ერთხელ მადლობა ყველას, ვინც ამ უკიდურესი გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი გამოგვიწოდა ერთმანეთის თანადგომა და სიყვარული თუ შეგვაძლებინებს, შევინარჩუნოთ სულიერი სიმხნევე და გავუძლოთ იმ გამოცდას, რომელიც განგებამ მოგვიწყო.

დაბა წყნეთის დევნილთა კომიტეტი.

ამ ცენტრში ჩემს ინსტიტუტსაც წარმოვადგენ

ამბობს ნიუ-იორკის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი ლავრენტი მანაგაძე

ნიუ-იორკიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: თბილისის ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლავრენტი (ლაური) მანაგაძე** არჩეულია ნიუ-იორკის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრად. ბატონ ლაურის მივულოცეთ საერთაშორისო აღიარება და ვთხოვეთ, ორიოდე სიტყვით გაეცნო ეს აკადემია. მან გვითხრა, რომ აკადემიის თაობაზე ჯერ-ჯერობით ნაკლები წარმოდგენა აქვს, რადგან მხოლოდ შეტყობინება და აკადემიკოსად არჩევის სერტიფიკატი მიიღო. იცის, რომ იგი ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო ცენტრია. მოიცავს მეცნიერების თითქმის ყველა დარგს. დააარსა 1817 წელს თომას ჯეფერსონმა. საკმაოდ პრესტიჟული გახლავთ. მის წევრებად ორმოცამდე ნობელის პრემიის ლაურეატია არჩეული. აკადემია აქტიურად მუშაობს, წელიწადში 200-მდე ღონისძიებას მართავს.

თქვენი არჩევის თაობაზე რაღას გვეტყვით-მეთქი, რომ ვკითხე, მიპასუხა: აკადემიაში იგი მის ინსტიტუტსაც წარმოადგენს.

მოგეხსენებათ, ქართული უროლოგიის სკოლას ტრადიციულად ყოველთვის დიდი სახელი ჰქონდა ჩვენშიც და მის ფარგლებს გარეთაც. იშვიათია, უროლოგიური სნეულებით დაავადებულნი სამკურნალოდ სხვა რესპუბლიკაში წასულიყვნენ. ასე იყო წინათ და ასეა ახლაც, რადგან ჩვენში, და განსაკუთრებით თბილისის უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკაში ყველა ავადმყოფობას შველიან. მხოლოდ თირკმლის გადანერგვის ოპერაციას არ აკეთებენ. ისიც იმის გამო, რომ მეტად ძვირადღირებული სამედიცინო აპარატურა არ გააჩნიათ. თორემ აქაურ მაღალი კლასის სპეციალისტებს ამ დაავადების მკურნალობაც ხელეწიფებათ. მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ თვრამეტი წლის წინათ, ქირურგიის ინსტიტუტში პროფესორ გიგლა იოსელიანთან ერთად, თირკმლის გადანერგვის ექვსი ოპერაცია გააკეთეს.

ბატონმა ლაური მანაგაძემ მიჩვენა გერმანული ჟურნალი, სადაც სათაურში გამოტანილი იყო ოპერაციის სახელწოდება: „თბილისი-პაუჩი", ეს არის ქართველი მეცნიერების მიერ შემუშავებული ოპერაციის სახელწოდება, რომელიც დაინერგა მსოფლიო პრაქტიკაში: შარდის ბუშტის დაზიანების შემთხვევაში მის სანაცვლოდ ნაწლავებისაგან ხელოვნურად ქმნიან ამ ორგანოს. ხდება ნაწლავისმიერი საშარდე გზების აღდგენა. ოპერაციის ავტორი პროფესორ ლავრენტი მანაგაძესთან ერთად არის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თემურ ჩიგოგიძე.

ინსტიტუტის ხელმძღვანელი დიდი სიყვარულით ლაპარაკობს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებზე, რომ მათ ჰყავთ ნიჭიერი, დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდობა. საშარდე გზების აღდგენით ოპერაციებზე თემურ ჩიგოგიძის თაოსნობით წარმატებით მუშაობენ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები — გია ხვადაგიანი, ზაზა ჰანტურაია, ზაზა მეზვრიშვილი.

ინსტიტუტში დანერგილია მკურნალობის მეორე მიმართულება, რომელიც გულისხმობს ენდოსკოპიური, ნაკლებაგრესიული ანუ უდანო ქირურგიას. ამ მეთოდის გამოყენებით ქართველმა მეცნიერებმა მრავალ ადამიანს შეუნარჩუნეს სიცოცხლე. სპეციალური ოპტიკური მოწყობილობის გამოყენებით, კლინიკაში პროსტატის, შარდის ბუშტის სიმსივნეების ათასამდე ოპერაციას აკეთებენ წელიწადში. ექიმების დაკვირვებით, ამ მეთოდის გამოყენებით სიკვდილიანობა ათჯერ შემცირდა. უდანო ოპერაციების ლიდერებმა — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ნოდარ უჯმაჯურიძემ და წამყვანმა მეცნიერმა მუშაკმა კონსტანტინე აბდუშელიშვილმა მათი მიღწევების თაობაზე არა ერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესზე გააკეთეს ინფორმაცია.

ინსტიტუტში ცალკე მიმართულებად ყალიბდება ეგრეთ წოდებული უროგინეკოლოგია. ამ საქმეს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გოგი ბოჭორიშვილი, ჯგუფში შედიან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები სიმონ სიტერმანი (იგი ამჟამად ისრაელში მუშაობს) და მზევინარ ნასარაია.

რაც შეეხება სამეცნიერო კავშირებს, ბატონმა ლაურიმ აღნიშნა, რომ მათ ინსტიტუტს არ დაუკარგავს კავშირები არც ერთ სამეცნიერო ცენტრთან, უამკავშირებოდ ხომ მეცნიერების განვითარება წარმოუდგენელია. ისე კი, მათ ორიენტაცია დასავლეთის ქვეყნებისაკენ აქვთ აღებული. უნდათ რაც შეიძლება გააფართოონ კავშირები უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. ორი ახალგაზრდა მეცნიერი სამი თვით მივლინებული იყო შვეციასა და ჰოლანდიაში. წლეულს დაგეგმილი აქვთ ერთი ახალგაზრდა მეცნიერი წლინახევრით გაგზავნონ ბერლინში, აგრეთვე ავსტრიაში.

— სასიამოვნოა, გვითხრა ბატონმა ლაურიმ, — რომ ახალგაზრდები ამართლებენ ჩვენს იმედებს. მაგალითად, ზაზა ჰანტურაია შვეციაში იყო ჩემს მეგობართან მივლინებული. მისგან მადლობის წერილი მივიღე. მწერს, ამ ასაკში ამდენის მცოდნე ახალგაზრდა არ მინახავსო. ასევე სასიხარულო წერილი მივიღე ჰოლანდიიდანაც. ევროპულ ახალგაზრდა უროლოგთა სკოლაში ორი კვირით გავგზავნე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი არჩილ ჩხოტუა. მალე ევროპის უროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორ დებრონინისგან წერილი მივიღე. მთხოვდა არჩილი რამდენიმე თვით დაეტოვებინათ. იგი ევროპული ასოციაციის წევრად დაგვიბრუნდა.

შეკითხვაზე: სამედიცინო აპარატურის თვალსაზრისით როგორი მდგომარეობა აქვთ, ბატონმა ლაურიმ აგვიხსნა, რომ ამ მხრივ მათ ძალიან უჭირთ. თუ სახელმწიფო ინსტიტუტისათვის ახალ აპარატურას არ შეიძენს, მდგომარეობა ძალზე გართულდება, რადგანაც ამჟამად მოქმედი აპარატურა 1986 წელს არის შეძენილი. უკვე გაცვდა, თანდათანობით მწყობრიდან გამოდის. ინსტიტუტის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, იქნებ გამოჩნდეს სამედიცინო აპარატურის ისეთი მწარმოებელი, რომელიც წინასწარ არ მოსთხოვს საფასურს და აპარატურის ფასს შემდეგ თანდათანობით გადაახდევინებს. ისიც აღნიშნა, რომ ინსტიტუტს დიდ დახმარებას უწევს ედუარდ შევარდნაძის ფონდი. კერძოდ, ბატონ სოლიკო ხაბეიშვილს მოლაპარაკება აქვს ამერიკის ფირმებთან კლინიკისათვის ახალი აპარატურის შესაძენად. ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ხომ ყველას საქმეა!

ლარისა ხუბულური.

• • •

სურათზე (მარცხნიდან): პროფესორი — ლ. მანაგაძე, თარჯიმანი, პროფესორები **დებრონინი** (ჰოლანდია) და **იონასი** (გერმანია).

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემია

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის.

სამხედრო აკადემია ამზადებს ოფიცრებს მოტომსროლელი, სატანკო, საარტილერიო ნაწილებისა და ქვედანაყოფებისათვის, აგრეთვე შინაგანი და სასაზღვრო ჯარებისათვის.

აკადემიაში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, რომელთა ასაკი 21 წელიწადს არ აღემატება.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკაში (წერა), საქართველოს ისტორიაში (ზეპირი), უცხო ენაში (ზეპირი) და ფიზიკურ მომზადებაში.

სამხედრო აკადემიაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

— განცხადება აკადემიის რექტორის სახელზე;
— ავტობიოგრაფია;
— დაბადების მოწმობის ასლი;
— დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან ან სასწავლებლიდან;
— სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286);
— საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (საშუალო სკოლის წლევანდელი კურსდამთავრებულები, რომლებსაც მიღებული არა აქვთ ატესტატი, წარმოადგენენ ცნობას სკოლის დამთავრების შესახებ საბოლოო ნიშნების ჩვენებით);
— სამი ფოტოსურათი (ზომით 4,5×6).

პასპორტსა და სამხედრო მიწერის მოწმობას (სამხედრო ბილეთს) აკადემიაში შემსვლელნი მიმღებ კომისიას პირადად წარუდგენენ.

აბიტურიენტთა მიღება იწარმოებს წლეულს, 13 ივლისამდე.

აბიტურიენტთა პროფესიული შერჩევა და მისაღები გამოცდები მოეწყობა წლეულს, 15 ივლისიდან. აბიტურიენტთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სამხედრო პროფესიისადმი მიდრეკილება და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური და მორალური თვისებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიკური მომზადება.

აკადემიაში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით. აბიტურიენტები, რომლებმაც განათლება მიიღეს არაქართულ ენაზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდას აბარებენ გასაუბრების ფორმით.

აკადემიაში აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გამოცდებზე დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით. თანაბარქულიანი აბიტურიენტების ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემა იმ აბიტურიენტს, რომელსაც უკეთესი ნიშნები აქვს საშუალო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში (საბოლოო ნიშნების საშუალო არითმეტიკული).

აკადემიაში ჩარიცხული მსმენელები იქნებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. I, II და III კურსის მსმენელები განთავსდებიან ყაზარმებში. მე-4 კურსიდან კი მათ უფლება ეძლევათ სავალდებულო მეცადინეობების შემდეგ იცხოვრონ აკადემიის ტერიტორიის გარეთ და ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი.

აკადემიაში სწავლის ვადა ოთხი წელიწადია, სწავლების ენა — ქართული. მსმენელები, შესაბამისი სპეციალობის სამხედრო განათლებასთან ერთად, მიიღებენ უმაღლეს სამოქალაქო განათლებასაც ისტორიის მასწავლებლის სპეციალობით. აკადემიის სრული კურსის დამთავრების შემდეგ მათ ენიჭებათ სამხედრო წოდება „ლეიტენანტი" და ეძლევათ უმაღლესი სასწავლებლისათვის დადგენილი ფორმის დიპლომი.

გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი მომდევნო გამოცდაზე არ დაიშვება.

სამხედრო აკადემიაში I კურსზე ჩარიცხულ მსმენელთათვის სწავლა დაიწყება 1 აგვისტოს.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: ტელეფონები: 95-21-85, 66-20-14.

მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის (ყოფილი კამოს) ქ. № 117.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის განყოფილების გამგე, პროფესორი

თენგიზ პავლეს ძე ბუაჩიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მამულისათვის — სწორდით!

ეროვნული არმია შევსებას ელის

ომის ჰეროიკა, თანატოლთა შეუპოვრობა და თავდადება სამაგალითოდ იქცა იმ ახალგაზრდებისათვის, ვინც სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევად მაინცდამაინც დიდი ხალისით არ ემზადებოდნენ.

ბევრმა მშობელმაც გაიცნობიერა ეროვნული ჯარის შექმნის აუცილებლობა და... „გაიმეტა" შვილი.

თუ შემოდგომაზე გასაწვევ პირთა და რესპუბლიკის რაიონების კომისარიატთა პასუხისმგებლობის, ელექტროენერგიისა და საწვავის დეფიციტის გამო მობილიზაციის მთელი სიმძიმე დედაქალაქმა იტვირთა, ამჯერად სხვა სურათი წარმოგვიდგა.

ასეთი მკვეთრი სხვაობა კი ცხადზე უცხადესია, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის აქტიური მუშაობის, რესპუბლიკის სამხედრო კომისრის ტარიელ აბუაშვილის პრინციპულობისა და მკაცრი მომთხოვნელობის შედეგია.

13 მაისი. გაწვევის პირველი დღე. რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის ტერიტორიაზე ხალხმრავლობაა. მოდიან თბილისელი, გურჯაანელი, მარნეულელი, ბოლნისელი ჭაბუკები. ქართველების გვერდით დგანან არაქართველებიც. მათ სამწყობრო ვარგისობას ამოწმებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული რესპუბლიკური სამედიცინო კომისია (თავმჯდომარე თეიმურაზ ჩიტაძე).

ღიმილს იწვევს ჰაბიტუსისა და ხასიათების შეუსაბამობა: ახოვანი, კუნთმაგარი ბიჭები ავადმყოფობის მომიზეზებით სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან თავის დაძვრენას ცდილობენ, სუსტნი და ტანმორჩილნი კი პირიქით, ავადმყოფობას მალავენ და ჯარისკაცობას ესწრაფვიან (მარტო ისნის რაიონმა 11 წვევამდელიდან 4 ინვალიდი წარმოადგინა). ეს ფაქტი რაიონის კომისარიატების გულგრილობასა და უპასუხისმგებლობაზე, არასრულყოფილ სამედიცინო შემოწმებაზე მიუთითებს. მაგრამ რესპუბლიკური სამედიცინო კომისიის წევრთა ფხიზელ თვალს მხედველობიდან არაფერი რჩება და ყველას სწორ მიმართულებას აძლევენ: პირველს — ჯარში გზავნიან, მეორეს — კი საავადმყოფოში.

და აი, სამწყობროდ ვარგის ახალგაზრდებს რესპუბლიკის შინაგან ჯარებსა და ეროვნულ გვარდიაში მათივე წარმომადგენლები ანაწილებენ.

წვევამდელები დღის ბოლოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის კლუბში იყრიან თავს.

ჯარისა და სახელმწიფოს პრობლემებზე, მათ მხედრულ მოვალეობაზე ესაუბრებიან და ჯარისკაცის რთულ, პასუხსაგებ გზას ულოცავენ ახალგაზრდებს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი ტარიელ აბუაშვილი, მისი მოადგილე თამაზ დეკანოსიშვილი და გაწვევის განყოფილების უფროსი გიორგი პაპავაძე.

გაწვევა გრძელდება, რომლის წარმატებით დამთავრება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რაიონების გამგებლებისა და პოლიციების ხელმძღვანელთა აქტიურობაზე.

ეროვნული ჯარი ეროვნული თავდაცვის კედელია, რომლის საძირკველი ყველამ ერთად უნდა ვაშენოთ.

ლეილა კოშკაძე.

განაჩენი აღსრულებულია

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით აღსრულებულ იქნა განაჩენი განზრახ მკვლელობისათვის მსჯავრდებულების ავთანდილ გამილაღდიშვილისა და გივი თვაურის მიმართ.

ავთანდილ გამილაღდიშვილი. სამჯერ წარდგა მართლმსაჯულების წინაშე. მორიგი სასჯელის მოხდისას იგი 1992 წლის ამნისტიის აქტით განთავისუფლდა. თუმცა, ამ გარემოებამაც ვერ იმოქმედა ავაზაკის სულსა და გონებაზე, რამდენიმე თვის შემდეგ სადისტურად, სრულიად უმიზეზოდ მოკლა თავისი მცირეწლოვანი გერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ 1993 წლის 30 აპრილს ავთანდილ გამილაღდიშვილს დახვრეტა მიუსაჯა.

სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 25 მარტის განკარგულებით მას უარი ეთქვა შეწყალებაზე, რადგან ბრალდებულს ადრეც ჰქონდა ჩადენილი რამდენიმე მძიმე დანაშაული. მან სათანადო დასკვნები არ გააკეთა ამნისტიით განთავისუფლების შემდეგ და კვლავ ჩაიდინა უმძიმესი დანაშაული, რომელსაც არ ინანიებს.

გივი თვაური ადრე სამართალში ნამყოფი არ ყოფილა, მაგრამ მისმა ჩადენილმა უმძიმესმა დანაშაულმა მთელი საზოგადოება შეძრა. 1992 წლის სექტემბერში გივი თვაური დამნაშავეების ჯგუფთან ერთად ყაჩაღურად დაესხა თავს მარტოხელა ცოლ-ქმრის ხუბაევების ოჯახს. ეთერ და ვიქტორ ხუბაევებს რომ მძარცველები არ გაეთქვათ, მან სიცოცხლის გამოასალმა ორივე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ ამ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის გივი თვაურს 1993 წლის 5 აპრილს მიუსაჯა დახვრეტა.

სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 25 მარტის განკარგულებით სიკვდილმისჯილ ბოროტმოქმედს უარი ეთქვა შეწყალებაზე იმ მოტივით, რომ მან ხელყო 2 ადამიანის სიცოცხლე განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში.

განაჩენი ავთანდილ გამილაღდიშვილისა და გივი თვაურის მიმართ ამ დღეებში სისრულეში იქნა მოყვანილი.

ფეხბურთი

ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მეთერთმეტე ტურში აშკარა იყო სტუმართა უპირატესობა. მათ სამი მატჩი მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს, რაც ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებაში იშვიათი მოვლენა გახლავთ. გთავაზობთ განვლილი შეხვედრების შედეგებს: „სამტრედია"-ფოთის „კოლხეთი" 1:2, ხაშურის „ივერია"-„ბათუმი" 0:2, ზესტაფონის „მარგვეთი"-ქუთაისის „ტორპედო" 3:6 (ზესტაფონის სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო ეს მატჩი წყალტუბოში გაიმართა). გორის „დილა"-ლანჩხუთის „გურია" 1:1, თბილისის „დინამო"-თბილისის „შევარდენი" 2:1.

დედაქალაქის კლუბების პრინციპულ პაექრობაში ლიდერი მეორე ეტაპზე პირველად აღმოჩნდა მდევრის როლში, მაგრამ შესვენების შემდეგ გარდატეხა შეიტანა თამაშში და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. სადავო სიტუაცია შეიქმნა პირველი ტაიმის მიწურულს, როდესაც მსაჯებმა არ ჩათვალეს დინამოელთა კარში გატანილი მეორე გოლი. ძნელი სათქმელია, იყო თუ არა თამაშგარე მდგომარეობა.

ხვალ, მეთორმეტე ტურში ერთმანეთს შეხვდებიან „კოლხეთი"-„დილა", „გურია"-„ივერია", „ბათუმი"-„მარგვეთი", „ტორპედო"-„დინამო", „შევარდენი"-„სამტრედია".

ჩოგანი

• • •

ესპანეთის ჩემპიონის წოდება ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა „ბარსელონამ", რომელმაც ბოლო ტურში შინ გაანადგურა „სევილია" 5:2, ხოლო ყოფილმა ლიდერმა — „დეპორტივომ" ასევე საკუთარ მინდორზე საბედისწერო ქულა დაკარგა „ვალენსიასთან" 0:0 და კატალონელებს ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩა (საბოლოოდ ორივემ 56-56 ქულა მოაგროვა). სახელოვანმა „რეალმა" ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში თავის უშუალო კონკურენტთან — „სარაგოსასთან" სტუმრად მძიმე მარცხის — 1:4 შემდეგ მეოთხე ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილემ — კოლუმბიის ნაკრებმა გუნდმა შინ ქალაქ კალიში ამხანაგური მატჩი გამართა იტალიის „პარმასთან" და გაიმარჯვა — 3:1. მასპინძლებმა ამ ბოლო დროს პირველად მოუყარეს თავი უცხოეთში მოთამაშე ვარსკვლავებს და უძლიერესი შემადგენლობით წარსდგნენ მრავალრიცხოვან გულშემატკივართა წინაშე.

სანთელი

„შენი ფრესკებით კვლავ ჩახჩახებს ჩემი კანდელი..."

წერდა პოეტი და სამშობლოს, მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს უძღვნიდა თავის გულწრფელსა და ნაღდ პოეტურ ქურაში გამოწრთობილ სტრიქონებს. მისი პოეტური სამყარო მრავალფეროვანი და უაღრესად საინტერესო იყო. ქართული პოეზიის წიაღში ედგა ფესვი, ქართული პოეზიის ტრადიციებზე იყო აღმოცენებული. ბედმა თუ უბედობამ ათასი ჭირ-ვარამი არგუნა წილად, რა აღარ აწვნევინა: ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების სუსხი თუ საბჭოთა იმპერიის დილეგების საშინელება. მაინც არ შემდრკალა, არ გაბოროტებულა, არ დაუკარგავს სიყვარულის ნიჭი და უნარი — უმთავრესი თვისება ჭეშმარიტი პოეტისა, ჭეშმარიტი შემოქმედისა...

სწორედ ამაზე იყო საუბარი საქართველოს მწერალთა სასახლეში გამართულ საიუბილეო ხსოვნის საღამოზე, რომელიც გამოჩენილი ქართველი პოეტის ლადო სულაბერიძის დაბადების 75 წლისთავს მიეძღვნა.

— ლადო სულაბერიძე, — თქვა გურამ ფანჯიკიძემ, — თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი უმშვენიერესი წარმომადგენელი გახლდათ. მისი ემოციური, უაღრესად ადამიანური და თავისთავადი შემოქმედება შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ჭაბუკური ენერგიით დამუხტული ემსახურებოდა მშობლიურ ლიტერატურას. დიდებული პიროვნება იყო, სიკეთითა და პატიოსნებით აღსავსე...

საიუბილეო საღამოზე გამოვიდნენ გრიგოლ აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ჭეიშვილი, ილგუჯა მაღრაძე, არჩილ სულაკაური, შალვა მჭედლიშვილი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ვახტანგ გორგანელი, ვასილ გვეტაძე, სილოვან ნარიმანიძე, მიხეილ ქვლივიძე, ჯუმბერ თითმერია, ილია რურუა, გიორგი ხუხაშვილი, შარლოტა კვანტალიანი, გიორგი წერეთელი, ნოდარ შამანაძე, გივი შაჰნაზარი, ტიტე სულაბერიძე.

გამომსვლელები საუბრობდნენ ლადო სულაბერიძის პოეზიაზე, მის ტრაგიზმითა და დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებაზე, მის გაუტეხელობასა და შემართებაზე, პიროვნულ ხიბლზე, გულწრფელობასა და უშურველობაზე, მასთან ერთად გატარებულ წლებზე. ითქვა, რომ ლადო სულაბერიძის სახით ქართულ პოეზიას ჰყავდა ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, რომლის მშვენიერი შემოქმედება, მშვენიერი პოეზია დარჩება ქართული მწერლობის ისტორიაში.

შეხვედრის დასასრულს ლადო სულაბერიძის ძმამ, მწერალმა შოთა სულაბერიძემ გულწრფელი მადლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას პოეტის გახსენებისა და ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

ზაალ გოტკოველი.

განცხადება

რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსპეცტრანსი" შეკვეთებს იღებს დამკვეთისათვის ხელსაყრელ პირობებში შემდეგ სამუშაოთა შესრულებაზე:

ეკოლოგიურად სუფთა სამგზავრო, სამგზავრო-სატვირთო და სატვირთო საბაგირო, საბაგირო-რელსური და მონორელსური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზებული მართვის სისტემების შექმნისა და დანერგვის სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საპროექტო-საძიებო, მოწყობილობებისა და ლითონკონსტრუქციების დამზადებისა და დაკომპლექტების, მონტაჟის, რემონტისა და გამართვის, აგრეთვე მომსახურე პერსონალის მომზადებისა და ტექნიკური დახმარების გაწევის სამუშაოებს;

ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის მქონე საქართველოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურის ორგანიზაციებისათვის კლირინგული წესით ურთიერთხელსაყრელ პირობებში პროდუქციის დამზადება და რეალიზაცია.

„საქსპეცტრანსს" სამუშაოდ სჭირდება:

თურქული და ინგლისური ენის თარგმანის სპეციალისტები. საინჟინრო ლაბორატორიული კომპლექსის დაცვის უბნის უფროსი.

„საქსპეცტრანსის" მისამართია:
თბილისი, ჯიქიას ქ. №18
(საბურთალო, ქავთარაძის ქუჩის გაგრძელება)
ტელეფონები:
31-04-66, 22-04-52

„საქსპეცტრანსის" დირექცია

სასწრაფოდ იყიდება

ვაკეში, ნაფარეულის ქუჩაზე
(უნივერსიტეტის II კორპუსის პირდაპირ)
მაღალჭერიანი, ორიგინალური პროექტის,
გარემონტებული, პრივატიზებული, 4 ოთახიანი
ბინა, III სართული, აივნით და ტელეფონით.
☎ 23-36-30

გთავაზობთ

უნაღდო ანგარიშსწორებით ნებისმიერი ფორმატის
საწერ, საბეჭდ, ქსეროქსისა და პრინტერის
ქაღალდს ადგილზე მიწოდებით.
38-91-64

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible]